ვახტანგ გოილაძე

ანტონ ქართველი და სვიმეონ მესვეტე

(ასურულ-ქართული ურთიერთობის ისტორიიდან VI საუკუნეში)

VI საუკუნეში სირიის ქ. ანტიოქიის მახლობლად, საკვირველ მთაზე მოღვაწე სვიმეონ მესვეტისა და იერუსალიმის ქართველთა მონასტრის წინამძღვრის ამბა ანტონის (ანტონ ქართველის) ურთიერთობის საკითხით ქართული სამეცნიერო საზოგადოება გასული საუკუნის შუახანებში, იტალიელი არქეოლოგის პატრ ვირჯილიო კორბოს მიერ პალესტინაში ბირ-ელ-ყუტის მიდამოებში აღმოჩენილი ქართული მონასტრის მოზაიკური წარწერების ამოკითხვის შემდეგ დაინტერესდა. როგორც გაირკვა, იერუსალიმის ქართული მონასტრის წარწერაში მოხსენიებული „აბაჲ ანტონი“ იგივე ანტონი ქართველია (ანტონ ხუცესი)[1], რომელიც არაერთხელ იხსენიება სვმეონ მესვეტის (საკვირველთმოქმედის) დედის – ყველა ქრისტიანისათვის კარგად ცნობილი წმინდანის, მართას „ცხოვრებაში“. ამ ცნობებს მნიშვნელოვნად ავსებს თვით სვიმეონ მესვეტის „ცხოვრებაში“ არსებული მონაცემები.

ანტონი ქართველი, იგივე ამბა ანტონი, იმ ქართველთაგანია, რომელთა მოღვაწეობა წმიდა მიწაზე იერუსალიმის ქართველთა მონასტერს უკავშირდება. უფრო გვიან სვიმეონ მესვეტემ ანტონ ქართველი სირიის ქ. სელევკიის ეპისკოპოსად აკურთხა. ქვემოთ ამ ორ პიროვნებასთან დაკავშირებულ პრობლემებზე მექნება საუბარი.

როგორც აკად. გ. წერეთელი აღნიშნავს, იერუსალიმის ქართველთა მონასტრის პირველი წარწერა, სადაც აბაჲ ანტონი იხსენიება, ძალიან კარგადაა შემონახული და მისი წაკითხვა ეჭვს არ იწვევს[2]. წარწერაში ნათქვამია: „შეწევნითა ქრისტესითა და მეოხებითა წმიდისა თეოდორეჲსითა შეიწყალენ ანტონი აბაჲ და იოსია მომსხმელი ამის სეფისაჲ და მამა-დედაჲ იოსიაჲსი ამენ“[3].

მონასტერი, სადაც ეს წარწერა იქნა მიკვლეული, პეტრე იბერის (გარდ. 491 წ.) მიერ V ს-ის პირველ ნახევარში იქნა აგებული[4]. მონასტერში კიდევ ორი წარწერაა (წარწერები იატაკზე მოზაიკითაა შესრულებული). ამ წარწერებში მარუან, ბურზან, ბაკურ და გრი-ორმიზდ იხსენიებიან. გ. წერეთლის სიტყვით, ამ პირთა იდენტიფიკაციაზე მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ძეგლის დათარიღება და მასთან დაკავშირებული მთელი რიგი კულტურულ-ისტორიული საკითხები[5].

---

[1] წერეთელი გ., უძველესი ქართული წარწერები პალესტინიდან. თბ., 1960, გვ. 14–17; მეტრეველი ე., საზღვარგარეთის ქართული სამწერლობო კერების ურთიერთთანამშრომლობის ერთი ფაქტი. ძიებანი საქართველოსა და კავკასიის ისტორიიდან. თბ., 1976, გვ. 138, შენ. 8.

[2] წერეთელი გ., დასახ. ნაშრომი, გვ. 12.

[3] იქვე. შდრ. პალესტინის ქართული წარწერები. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია (შემდეგში ქსე), ტ. 7, თბ., 1984, გვ. 649–650.

[4] წერეთელი გ., დასახ. ნაშრომი, გვ. 28. ტაძრის მშენებლობას გ. წერეთელი ოთხას ოცდაათიანი წლებით განსაზღვრავს. ეს ის მონასტერი უნდა იყოს, რომლის განახლებას VI ს-ის ბიზანტიელი ავტორი პროკოპიოს კესარიელი, იმპერატორ იუსტინიანე I-ს (527–565) მიაწერს და ლაზთა მონასტრად იხსენიებს. ამ საკითხზე ვრცლად იხ. ქვემოთ. შენ. № 52.

[5] აკად. გ. წერეთელს, როცა მეორე და მესამე წარწერაში მოხსენიებულ ისტორიული პირების იდენტიფიკაციას იკვლევდა, არ დაუსვია საკითხი რა აკავშირებდა ამ წარწერებში მოხსენიებულ პირებს, თუნდაც მარუანს – პეტრე იბერს მის თანამედროვე ქართლის მეფესთან ვახტანგ გორგასალთან (გარდ. 491 წ.). როგორც შემდეგში გაირკვა, IV ს-ის 60-იანი წლებიდან V საუკუნის 30-იანი წლების ბოლომდე ქართლი ორ – ბიზანტიისა და ირანის გავლენაში მოქცეულ სამეფოებს წარმოადგენდა. ირანის გავლენაში მოქცეულ ქართლში, ქართლის პირველი ქრისტიანი მეფის – მირიანის უმცროსი ძის ბაკურის (ბაქარის) შთამომავლები მეფობდნენ და ბაქარიანებად, ხოლო ბიზანტიის გავლენაში მყოფ ქართლში მირიანის უფროსი ძის – რევის შთამომავლები მეფობდნენ და რევიანებად

პეტრე იბერის მიერ V ს-ის I ნახევარში აგებულ ტაძრის წარწერაში რადგან VI ს-ში მოღვაწე „ანტონი აბაჲ“ (ამბა ანტონი – ე. ი. მამა ანტონი. ამბა/აბა სირიულად მონასტრის წინამძღვარსაც ნიშნავს[6]) არის მოხსენიებული, ამიტომ ფიქრობენ, რომ ტაძარი VI ს-შია განახლებული. წარწერის პირველი ორი პწკარი უფრო ადრინდელია და დაცულია გადაუკეთებელი სახით, ხოლო უკანასკნელი სამი პწკარი განახლებულია VI ს-ში მონასტრის აღდგენის დროს. სწორედ წარწერის ამ ნაწილში იხსენიებიან „ანტონი აბაჲ“ და „იოსია მომსხმელი სეფისაჲ“, როგორც თანადროული პირები[7].

მოზაიკურ წარწერაში მოხსენიებული „ანტონი აბაჲს“ პიროვნების შესახებ შედარებით სრულ წარმოდგენას გვიქმნის მართას „ცხოვრებაში“ არსებული ცნობები. მართას „ცხოვრებაში“ იგი „მღვდლად“, უფრო ხშირად „ანტონი ხუცესად“, ორჯერ კი „ამბა ანტონად“ არის მოხსენიებული[8].

სვიმეონ მესვეტის დედის – მართას „ცხოვრების“ ერთ-ერთი მთავარი მოქმედი პირი, იერუსალიმელი მონაზონი „ანტონი ქართველი კაცი“, „ცხოვრების“ ავტორის ცნობით, იყო „მღდლობისა პატივითა შემოსილი“, „მამასახლისი მონასტრისა პატიოსნისაჲ და წინამძღუარი ძმათა სიმრავლისაჲ“. სწორედ მან მოასხმევინა იოსიას სეფი (მოზაიკა – ვ. გ.) და ქართული წარწერა გააკეთებინა. აკად. გ. წერეთლის სიტყვით, რადგან წარწერაში ანტონი მოხსენიებულია ვითარცა „ანტონი აბაჲ“, ისე როგორც მართას „ცხოვრების“ ტექსტში, ჩანს, რომ წარწერის გაკეთების დროს მას იგივე მდგომარეობა ჰქონია, როგორც შავ მთაზე მისვლისას[9].

მართას „ცხოვრებაში“ ანტონი ქართველი მართას ძის – სვიმეონისათვის იერუსალიმიდან ოქროს ჯვარში ჩასმული ცხოველმყოფელი ძელის ნაწილის ჩატანის გამო მოხვდა. მართას „ცხოვრებაში“ არსებული ცნობით, მას შემდეგ, რაც მართას ცხედარი გადაასვენეს შავ, ანუ საკვირველ მთაზე (ე. ი. ანტიოქიის მახლობლად, სირიაში. შემდეგში იქ ეკლესიაც ააგეს), სადაც მართას ძე – სვიმეონი მოღვაწეობდა, სვიმეონმა ღმერთს შესთხოვა მიენიჭებინა მისთვის ნაწილი „წმიდა ჯვრისა“, გაკეთებული ცხოველმყოფელი ძელისაგან[10].

ღმერთისადმი ასეთი ვედრების შემდეგ სვიმეონმა „მეყსეულად იხილნა გამოცხადებით ჩუენებისა მიერ სამნი მონაზონნი ქართველნი რომელნი იერუსალჱმით მოვიდეს მონასტრად წმიდისა, რომელთაგანი ერთი, სახელით ანტონი, მღდელობისა პატივითა შემოსილ იყო და მამასახლისი მონასტრისა პატიოსნისაჲ და წინამძღუარი ძმათა სიმრავლისაჲ. ესე ანტონი იხილვებოდა რომელ რეცა აქუნდა მას ჴელთა მისთა ჯუარი ოქროჲსაჲ, და მას შინა ცხოველსმყოფელისა მის ძელისა ნაწილი, ძალი ძლიერი; დაეპყრა მას იგი შიშითა დიდითა და ძრწოლითა, და მისცემდა მას წმიდასა სჳმეონს მსგავსად თხოვისა მის მისისა. ესე უკუე ანტონი ქართველი კაცი, – დასძენს მართას „ცხოვრების“ ავტორი, – იყო საკჳრველი, რომელმან იხილა ჩუენებით ჟამსა მას მონაჲ ღმრთისაჲ დიდი სჳმეონ რომელი ეტყოდა მას: „წარ-უკუევდ შენ მთასა საკჳრველსაო“[11].

იწოდებოდნენ. შესაბამისად, იერუსალიმის ქართული მონასტრის II და III წარწერებში მოხსენიებული ყველა პირი რევიანი იყო, იხ. გოილაძე ვ., ფარნავაზიანთა სახლის ქრისტიან მეფეთა ქრონოლოგია, თბ., 1990, გვ. 104–120.

[6] იხ. სტ. ამბა. ქსე, ტ. I, თბ., 1975.

[7] წერეთელი გ., დასახ. ნაშრომი, გვ. 28; ჩაჩანიძე ვ., პეტრე იბერი და ქართული მონასტრის არქეოლოგიური გათხრები იერუსალიმში, თბ., 1974, გვ. 37.

[8] ცხორებაჲ და მოქალაქეობაჲ ნეტარისა მართაჲსი სჳმეონის დედისა..., Corpus scriptorum Christianorum orientalium..., vol. 285. Scriptores Iberici, t. 17, Editer par Gérard Garitte. Louvain, 1968, გვ. 61–67.

[9] წერეთელი გ., დასახ. ნაშრომი, გვ. 17.

[10] ცხორებაჲ და მოქალაქობაჲ ნეტარისა მართაჲსი..., გვ. 53.

[11] იქვე, გვ. 53–54.

ამრიგად, საკვირველ მთაზე სვიმეონ მესვეტეს და იერუსალიმის ქართველთა მონასტერში მყოფ ამბა ანტონს ერთდროულად ჰქონდათ ხილვა.

მართას „ცხოვრებაში“ არსებული ცნობით, როცა საკვირველ მთაზე მყოფმა სვიმეონმა იხილა იერუსალიმიდან მასთან მისული სამი მონაზონი, რომელთაგან ერთს – ამბა ანტონს ხელში ჯვარი ეპყრა, საკვირველ მთაზე უკვე იმყოფებოდა სვიმეონისაგან განკურნებული ერთი ქართველი, სახელად სერგი. სვიმეონმა მას სთხოვა მოეცადა, სანამ მასთან იერუსალიმიდან სამი ქართველი ჩავიდოდა. როცა ამბა ანტონი ორ ქართველთან ერთად საკვირველ მთაზე მივიდა, მაშინვე წარუდგა სვეტზე მყოფ სვიმეონს და გაახსენდა, 20 წლით ადრე, ჯერ კიდევ საქართველოში მყოფს, გამოცხადებისას რომ უთხრეს: იგი „მთასა ზედა მაღალსა“ მყოფი სვიმეონის თანამკვიდრი გახდებოდა[12].

საკვირველი მთიდან ანტონ ქართველი და მისი თანამგზავრები როდის და როგორ დაბრუნდნენ იერუსალიმში, ამის შესახებ მართას „ცხოვრებაში“ არაფერია ნათქვამი. იერუსალიმის ქართველთა მონასტერში მყოფ ანტონ ქართველს **„თუესა მეექსუესა მიცვალებითგან ნეტარისა მართაჲსი“** – დეკემბერში (ე. ი. 551 წლის დეკემბერში – ვ. გ.) მართა გამოეცხადა და სთხოვა, საკვირველ მთაზე წასულიყო[13]. იმავე დროს, როცა იერუსალიმის აღდგომის მონასტრის წინამძღვრის – თომას დავალებითა და წერილით პავლე მონაზონი საკვირველ მთაზე სვიმეონთან ჩავიდა, ანტონ ქართველი მას იქ დახვდა. მათ ერთად მოინახულეს სვიმეონი, პავლე მონაზონმა სვიმეონს თომას ეპისტოლე გადასცა[14]. ანტონმა კი სვიმეონს მოახსენა: იერუსალიმში არ ვიცოდი რისთვის მოვდიოდი აქო[15].

თომას ეპისტოლეს წაკითხვის შემდეგ სვიმეონმა პავლეს მიმართა: „ესერა ესე მეშჳდე თუე აღესრულების“ რაც უფლისაგან ბოძებულ „ყოვლად უხრწნელი“ ძელის ჯვარის ნაწილს ვითხოვო[16].

მეორე დღეს პავლე მონაზონი იერუსალიმში დაბრუნდა, „ხოლო ანტონი ხუცესი დაიმჭირა მცირედთა დღეთა თავისა თჳსისა თანა“[17]. იქ ყოფნისას იხილა ამბა ანტონმა სასწრაფოდ წასულიყო იერუსალიმში და სვიმეონისათვის ევლოგია ჩამოეტანა[18]. სვიმეონმა ანტონს თომასთან ეპისტოლე გაატანა. როცა ანტონ ქართველმა აღდგომის ეკლესიის წინამძღვარს – თომას სვიმეონის ეპისტოლე გადასცა, მეჯვარემ ჰკითხა – საიდან მივიდა იგი? ანტონმა უპასუხა: „მთით საკჳრველითა რომელ არს მახლობელად ანტიოქელთა ქალაქისა“[19]. მეჯვარეს „ვითარცა ესმა ესე“ „სიხარულითა დიდითა მოეხჳა... შეიყვანა იგი წმიდასა გოლგოთას, და ყოველნი იგი საუფლონი ადგილნი მოავლნა“[20]. შემდეგ „წარიკითხა“ „ებისტოლე იგი წმიდისაჲ“, და „მყის მოუწოდა ოქროჲსმჭედელსა, და შეიქმნა მან ჯუარი ოქროჲსაჲ, და დაუპყრა ჯუარსა მას შოვა ნაწილი ცხოველსმყოფელისა პატიოსნისა ჯუარისაჲ, და შთაუსუენა იგი ბუდესა შინა, და მისცა იგი ხუცესსა ანტონის ჴელთა მისთა და პასუხი წიგნისაჲ, და განუტევა იგი მშჳდობით“. ანტონიც „სიხარულითა დიდითა შთავიდა იოპედ მსწრაფლ, და პოვა მან მუნ ნავი მზაჲ; შევიდა მას შინა და ვიდრე სელევკიადმდე წარვიდა კეთილად; და მივიდა

---

[12] იქვე, გვ. 57–58.
[13] იქვე, გვ. 59.
[14] იქვე, გვ. 60.
[15] იქვე, გვ. 63.
[16] იქვე, გვ. 62.
[17] იქვე, გვ. 63–64.
[18] იქვე, გვ. 64.
[19] იქვე, გვ. 69.
[20] იქვე. ყველა ქრისტიანისათვის წმიდათაწმიდა ადგილი – აღდგომის სავანე, გოლგოთა IV ს-ში ააგო კონსტანტინე დიდმა იმ ადგილას, სადაც ქრისტე ჯვარს აცვეს. შემდეგში აქვე ააგეს მრგვალი ეკლესია – როტონდა (იხ. კეკელიძე კ., აღდგომის სავანე, ქსე, ტ. II, თბ., 1977, გვ. 48–49).

იგი მონასტრად წმიდასა“. ეს იყო ჟამი **„უწინარეს წელიწდისა ერთისა,** აღ-რაჲ-ვიდოდა წმიდაჲ სუეტსა ზედა“. სვიმეონმა სიხარულით მიიღო „ცხოველსმყოფელი პატიოსანი ჯუარი“ და ეპისტოლე მეჯვარისაგან მიწერილი[21].

ზემომოთხრობილში ყურადღებას იქცევს სვიმეონ მესვეტის სურვილი – იერუსალუმიდან ჯვარი მასთან მაინცდამაინც ანტონ ქართველს ჩაეტანა. ანტონი, თითქოს, შუამავალი იყო საკვირველ მთაზე დამკვიდრებულ მესვეტესა და იერუსალიმის აღდგომის ეკლესიის წინამძღვარს შორის. აღნიშნულთან ერთად, სვიმეონის ჩივილი მეშვიდე თვე იყო იგი მისთვის ღვთისაგან ბოძებულ ცხოველმყოფელი ძელის ნაწილს რომ ვერ ღებულობდა, იმ დაპირისპირების ანარეკლი ხომ არ უნდა იყოს, რაც იმხანად იმპერიის აღმოსავლეთ პროვინციებში იყო? (იხ. ქვემოთ). ფაქტი ერთია, რაღაც მიზეზით იერუსალიმის აღდგომის ეკლესიის წინამძღვარი სვიმეონისათვის ჯვრის გადაცემას აყოვნებდა. ამ მიზეზის შესახებ იცოდა თუ არა მართას „ცხოვრების“ ავტორმა[22], ძნელი სათქმელია. ერთი ფაქტი კი მაშინდელ საზოგადოებაში არსებული დაპირისპირებისა მასთან მაინც აისახა. ქვემოთ მასზე მექნება საუბარი. მანამდე კი უნდა აღვნიშნო: იერუსალიმის ქართველთა მონასტერში მყოფ ანტონ ქართველს როცა მართა გამოეცხადა და სთხოვა საკვირველ მთაზე წასულიყო, ჰაგიოგრაფის ცნობით, აპელეოსის თვე ანუ „ჰრომაელთა დეკემბერი“ იყო.

551 წლის დეკემბერი მართას გარდაცვალებიდან (551 წლის 5 ივლისი), მართლაც, მეექვსე თვეა, მაგრამ ჰაგიოგრაფის მიერ დეკემბრის შესაბამისად დასახელებული „აპელეოსი“ რადგან არც სირიულმა და არც ებრაულმა კალენდარმა არ იცის, ამ ტექსტის განსხვავებულ წაკითხვებში კი „აპრილეოსი“ (ე. ი. აპრილის თვე) არის მითითებული, მართას „ცხოვრების“ ამ ნაწილში თვეების აღრევა უნდა იყოს. ტექსტში, როგორც ჩანს, აპრილის თვეზეც იყო საუბარი. მართას ხილვის შემდეგ, ამბა ანტონი საკვირველ მთაზე პირველად 552 წლის იანვარში, ხოლო მეორედ უკვე ცხოველმყოფელი ჯვრით, როგორც ჩანს, 552 წლის აპრილში იმყოფებოდა.

551 წლის იანვარში საკვირველ მთაზე პირველად ყოფნისას უთხრა სვიმეონმა ანტონს: „მეშვიდე თუე აღესრულების“, რაც იერუსალიმიდან ცხოველმყოფელი ჯვრის ნაწილის ჩატანას ველიო. 552 წლის აპრილში კი ის ჟამი იყო „რომელსა, უწინარეს წელიწადისა ერთისა, აღ-რაჲ-ვიდოდა წმიდაჲ სუეტსა ზედა“ – ე. ი. მესვეტეობა სვიმეონს 551 წლის აპრილში დაუწყია.

მას შემდეგ, რაც 552 წლის აპრილში ანტონ ქართველი საკვირველ მთაზე მივიდა, „მიერ ჟამითგან არღარა სადა განეშორა წმიდასა და დიდსა სჯმეონს, არამედ დაადგრა იგი მუნ მის თანა მოთმინებით; ხოლო შემდგომად ჟამთა რავდენთამე“ სვიმეონმა ანტონი ქ. სელევკიის ეპისკოპოსად აკურთხა[23]. ამის შემდეგ იგი იერუსალიმის ქართველთა მონასტერში, როგორც ჩანს, აღარ დაბრუნებულა.

მეორე მხრივ, ამ ამბებიდან ოცი წლით ადრე, ანტონი ჯერ კიდევ საქართველოში ყოფილა – „რაჲმეთუ ბრძანებაჲ მოეღო მას ჩუენებით უწინარეს ოცისა წლისა, იყოღავე რაჲ იგი ქუეყანასა ზედა საქართველოსა, სულისა მიერ წმიდისა ვითარმედ „ჯერ არს შენდა თანამკჯდრობაჲ, ახლისა მის მოსესიო... რომელი მდგომარე არს მთასა ზედა მაღალსაო და გამოხსნასა უჩუენებს იგი ყოველთა მსგავსად ნათლისმცემელისაო“[24].

ზემომოტანილი ცნობების გაანალიზების საფუძველზე აკად. გ. წერეთელი ასკვნის: „მაშასადამე, ცხადია, რომ 532 წელზე ადრე, როდესაც ანტონი ჯერ კიდევ საქართველოში იყო, მას არ შეეძლო პალესტინის ქართული მონასტრის წარწერა გაეკეთებინებინა“ და „პირველი წარწერის

---

[21] იქვე, გვ. 69–70.

[22] მართას „ცხოვრება“ ბერძნულიდან ქართულად უთარგმნია X ს-ში დავით ტბელს (მენაბდე ლ. ძველი ქართული მწერლობის კერები, II, თბ., 1980, გვ. 150).

[23] ცხორებაჲ და მოქალაქეობაჲ ნეტარისა მართაჲსი, გვ. 72.

[24] იქვე, გვ. 57–58.

თარიღი შეიძლება ზუსტად დადგინდეს ორი ათეული წლის ფარგლებში“. მისი შედგენის თარიღია დაახლოებით 532–552 წლები[25].

ამრიგად, 552 წლის დამდეგიდან (აპრილიდან) ამბა ანტონი სამოღვაწეოდ საკვირველ მთაზე დარჩა. ანტონის შემდეგ ვინ გახდა ქართველთა მონასტრის წინამძღვარი, ან როდის აკურთხა სვიმეონ მესვეტემ ამბა ანტონი ქ. სელევკიის[26] ეპისკოპოსად და რომელ წლამდე განაგებდა იგი სელევკიის საეპისკოპოსო კათედრას, სამეცნიერო ლიტერატურაში არაფერია ნათქვამი.

მართას „ცხოვრების“ ავტორის ცნობით, როგორც ითქვა, ანტონ ქართველი ქ. სელევკიის ეპისკოპოსად სვიმეონ მესვეტემ აკურთხა. ამიტომ აქვე ისმის კითხვა: შეეძლო რომელიმე წმინდანს (თუნდაც სვიმეონს) პატრიარქის (ამ შემთხვევაში ანტიოქიის პატრიარქის) ხელდასხმის გარეშე ეპისკოპოსი ეკურთხებინა?

დასმულ საკითხთან ერთად, მართას „ცხოვრებიდან“ ზემომოტანილ ციტატაში ჩემი ყურადღება მიიპყრო 552 წელზე ოცი წლით ადრე, ჯერ კიდევ საქართველოში მყოფ ანტონს ხილვისას რომ უთხრეს: იგი „მთასა ზედა მაღალსა მდგომარე“ ახალი მოსეს (ე. ი. სვიმეონის) თანამკვიდრი გახდებოდა.

ზემომოთხრობილიდან გამომდინარე, სირიის დედაქალაქის ანტიოქიის მახლობლად მდებარე საკვირველ (შავ) მთაზე მართას ნეშტის გადასვენებისას, სვიმეონი იქ ახალი დამკვიდრებული იყო, ხოლო როცა იერუსალიმიდან მას ამბა ანტონმა ჯვარი ჩაუტანა, საკვირველ მთაზე სვიმეონის მისვლიდან ერთი წელი იყო გასული[27]. ამიტომ, ცხადია, მართას „ცხოვრების“ ავტორი იმ „მთასა ზედა მაღალში“, სადაც ოცი წლითა ადრე (ე. ი. 532 წელს) სვიმეონი იმყოფებოდა, საკვირველ მთას არ გულისხმობს. ეს მთა სხვაგანაა საძიებელი. სავარაუდოდ, ეს ის ადგილია, სადაც 551 წლის 5 ივლისს მართა გარდაიცვალა.

სვიმეონ მესვეტის თავდაპირველი მოღვაწეობის ადგილის გარკვევაში თვით სვიმეონის „ცხოვრების“ ცნობები უნდა დაგვეხმაროს[28]. „ცხოვრების“ ცნობიდან გამომდინარე, სვიმეონი 521 წელს დაიბადა (526 წლის 20 მაისს მომხდარი დიდი მიწისძვრისას იგი 5 წლისა იყო[29]). ექვსი წლისა (ე. ი. 527 წელს) ბერად აღიკვეცა სელევკია ქალაქის მახლობლად, სოფელ ტიბერიანთან არსებულ მონასტერში, სადაც 14 წელი დაჰყო[30]. 532 წელს, როცა ანტიოქიის პატრიარქმა ეფრემიოსმა (527–545 წწ.) და სელევკიის ეპისკოპოსმა სვიმეონი დიაკვნად აკურთხეს, იგი „უწლოვანი ბერი“ იყო[31].

საკვირველ მთაზე სვიმეონის მისვლის თარიღად მიღებული 551 წლის აპრილი (იხ. შენ. 27) და სვიმეონის „ცხოვრების“ ის ცნობა, რომლის თანახმად, საკვირველ მთაზე სვიმეონმა 45 წელი დაჰყო

---

[25] წერეთელი გ., დასახ. ნაშრომი, გვ. 17.

[26] ქალაქი სელევკია ზღვასთან მდ. ორონტის შესართავიდან 7 კმ-ზე ჩრდილოეთით მდებარეობდა. იგი დააარსა სელევკ I-მა ნიკატორმა (ძვ. წ. 312–280) და სახელიც მისგან მიიღო. ამ ქალაქში არიან დაკრძალულნი სელევკიდი მეფეები.

[27] როგორც მართას „ცხოვრებაშია“ ნათქვამი, მართას გარდაცვალებიდან (551 წლის 5 ივლისი) მეექვსე თვეს – დეკემბერში, ამბა ანტონმა იხილა, იგი საკვირველ მთაზე უნდა ჩასულიყო (მართას„ცხოვრება“, გვ. 58). მართას გარდაცვალებიდან ექვსი თვე 552 წლის 5 იანვარს შესრულდა. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკვირველ მთაზე ანტონი პირველად 552 წლის იანვარში იყო. ჯვარი კი, როგორც ითქვა, 552 წლის აპრილში უნდა ჩაეტანა საკვირველ მთაზე.

[28] სვიმეონის ბიოგრაფია. იხ. კეკელიძე კ., საკითხი სირიელ მოღვაწეთა ქართლში მოსვლის შესახებ. ეტიუდები..., ტ. I, თბ., 1956, გვ. 37.

[29] ცხორებაჲ სჳმიონ მესუეტისაჲ. ქართული ჰაგიოგრაფიული ძეგლები, კ. კეკელიძის რედაქციით, კიმენი I, ტფ., 1918, გვ. 219. 526 წლის 20 მაისის მიწისძვრის გარდა, ანტიოქიაში მიწისძვრა იყო – 525 წლის 4 ოქტომბერს, 528 წლის 15 და 29 ნოემბერს. Grumel V., La Chronologie, Paris, 1958, გვ. 478.

[30] ცხორებაჲ სჳმიონ მესვეტისაჲ, გვ. 220.

[31] იქვე, გვ. 339; მერკვილაძე დ., ასურელ მამათა ქართლში მოსვლის დრო, თბ., 1996, გვ. 21.

და 75 წლისა გარდაიცვალა, იმის დასტურია, სიცოცხლის ბოლო 45 წელი სვიმეონმა, მართლაც, საკვირველ მთაზე რომ გაატარა (551 + 45 = 596 – ესაა სვიმეონის გარდაცვალების წელი. სვიმეონი გარდაიცვალა „თთუესა მაისსა ოცდა სამსა. დღესა პარასკევსა). მაგრამ სად მოღვაწეობდა სვიმეონი 551 წლის წინა ხანაში?

შიოსი და ევაგრეს „ცხოვრებაში“ არსებული ცნობით, როცა ასურელი მამები ქართლისაკენ გამოემგზავრნენ, იმ დროს „აღსრულ იყო დიდი მნათობი სჳმიონ საკჳრველთ-მოქმედი მთასა საკჳრველსა, გარნა არა და სუეტსა ზედა, არამედ თორნესა შინა მჯდომარე იყო. და ნეტარმან იოანე და მოწაფეთა მისთა იხილეს იგი და ლოცვაჲ მისი მოიღეს...“[32].

ზემომოტანილ ცნობაზე დაყრდნობით, აკად. კ. კეკელიძემ დაასკვნა: სვიმეონ მესვეტე, სვეტზე ასვლამდე თორნეში იჯდა 541–551 წლებშიო[33].

შიოსი და ევაგრეს „ცხოვრების“ ცნობა იმის შესახებ, საკვირველ მთაზე მისული სვიმეონი ჯერ კიდევ სვეტზე რომ არ იყო ასული და „თორნესა შინა მჯდომარე იყო“, როგორც ჩანს, სვიმეონის „ცხოვრებიდან“ მომდინარეობს. მასში ნათქვამია: სვიმეონი დაემკვიდრა მთასა მას საკჳრველსა ბრძანებითა ღ˜საჲთა კლდესა მას ზ˜და **შექმნა თორნე რკინისაჲ და დადგა** მას შ˜ა და ემოსა მას სამოსლად ხალენი იგი... მას შ˜ა დაესრულა **მეოცე წელი ჟამი** ჰასაკისა მისისაჲ[34].

სვიმეონის „ცხოვრების“ ავტორი შემდეგ კიდევ მოგვითხრობს სვიმეონის თორნეში დადგომის ამბავს და წერს: „იყო **მთაჲ იგი უდაბნო** ფ˜დ და **უვალ კაცთგან** და არცა იყო მას შინა ყ˜დვე საყოფელი კაცთაჲ გარნა ტალავარი მცირე შექმნეს მოწაფეთა მთასა მას სადა იგი მყოფ იყვნეს. ხოლო წ˜დაჲ იგი დგა კლდესა მას ზედა ჴმელსა. იყო გარემოჲს მისა, თორნე რკინისაჲ და ემოსა მას ხალენი...“[35].

ამრიგად, მართას „ცხოვრების“ ცნობიდან გამომდინარე, სვიმეონი საკვირველ მთაზე თუ 551 წლის აპრილში დაემკვიდრა, სვიმეონის „ცხოვრების“ თანახმად, 20 წლის (ე. ი. 541 წელს) სვიმეონი მივიდა საკვირველ მთაზე და „კლდესა მას ზედა შექმნა თორნე რკინისაჲ და დადგა მას შინა“ (სვიმეონის მისვლისას ეს მთა იყო „უდაბნო და უვალ კაცთაგან“) და ასეთ მდგომარეობაში 10 წელი გაატარა[36]. გამოდის, რომ 541–550 წლებშიც სვიმეონი საკვირველ მთაზე იმყოფებოდა, მხოლოდ „კლდესა მას ზედა ჴმელსა“ იდგა. მესვეტეობა 551 წლის აპრილში დაიწყო[37].

„ცხოვრების“ დასასრულს ავტორი როცა აჯამებს სვიმეონის მოღვაწეობას, წერს: 6 წლის სვიმეონმა „დაყო სუეტსა მას ზედა მახლობელად ნეტარისა ი˜ნესა ექუსი წელი: და შ˜დ მისა აღვიდა სუეტსა მას ზ˜ა რ˜ლსა აქუნდა სიგრძე ორმეოცი ბრჭალი კაცისაჲ. და დაყო მას ზ˜ა რვაჲ წელი და შ˜დ მისა აღუქმნეს მას მთასა ზ˜ა საკჳრველსა **სუეტი ქვითა ჴმელითა** და დაყო მას ზ˜ა ათი წელი. უკუანაჲსკნელ აღაშენა სუეტი იგი და გამოცხადებითა ო˜ლისაჲთა აღვიდა მას ზ˜ა და დაყო მას ზ˜ა ორმეოც და ხუთი წელი... და არნ ყ˜ლნი წელნი ცხორებისა მისისანი სამეოც და ათხუთმეტ წელ...“[38].

როგორც ვხედავთ, სვიმეონის „ცხოვრების“ ავტორს ავიწყდება 541–550 წელი, მისი ცნობით, სვიმეონმა „კლდესა მას ზედა ჴმელსა“ „რკინის თორნეში“ რომ გაატარა[39] და ექვსი წლის ასაკიდან მის

---

[32] ცხორებაჲ... შიოჲსი და ევაგრესი; ასურელ მოღვაწეთა ცხოვრების წიგნთა ძველი რედაქციები, თბ., 1955, გვ. 81.

[33] კეკელიძე კ., დასახ. ნაშრომი, გვ. 37.

[34] ცხორებაჲ სჳმეონ მესვეტისაჲ, გვ. 248.

[35] იქვე, გვ. 256.

[36] იქვე, გვ. 340.

[37] კეკელიძე კ., დასახ. ნაშრომი, გვ. 37.

[38] ცხორებაჲ სჳმეონ მესვეტისაჲ, გვ. 339–340; Кекелидзе К. С., Житие Симеона Дивногорца. Историко-агиографические отрывки. ეტიუდები... VII, თბ., 1961, გვ. 8–9, შენ. 17.

[39] რას ნიშნავდა „თორნე რკინისაჲ“ მკვლევრები სხვადასხვაგვარად განმარტადნენ. როგორც პროფ. ლ. მენაბდე წერს, ეს საკითხი პ. პეტერსმა ცალკე შრომაში განიხილა და შენიშნა: სვიმეონის „ცხოვრების“ იმ

სხვადასხვა ზომის სვეტზე („ქვითა ჴმელითა“ აგებულ სვეტზე ყოფნას და რკინის თორნეში დგომას ათი წლის განმავლობაში ერთსა და იმავე წლებში ათავსებს) ყოფნის შესახებ წერს, რაც, ვფიქრობ, 541–550 წლებში სვიმეონის საკვირველ მთაზე მოღვაწეობას საეჭვოს ხდის, თანაც, 6 წლის ბავშვის მონასტერში (ამ შემთხვევაში ტიბერიანის) ყოფნა უფრო რეალური ჩანს, ვიდრე სვეტზე ყოფნა[40]. ფაქტი ისაა, ჯერ კიდევ „უწლოვანმა ბერმა“ თანამედროვეთა დიდი პატივისცემა რომ დაიმსახურა. რაც ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა, 534 წელს როცა ასურელი მამები საქართველოში გამოემგზავრნენ, სვიმეონი ჯერ კიდევ არ იყო მისული საკვირველ მთაზე.

ე. ი. როცა ჯერ კიდევ საქართველოში მყოფმა ანტონ ქართველმა 532 წელს იხილა, იგი რომ „მთასა მაღალსა ზედა მყოფი“ სვიმეონის თანამკვიდრი უნდა გამხდარიყო, სვიმეონი ჯერ კიდევ ტიბერიანის მონასტერში იყო – ამ წელს აკურთხეს იგი დიაკვნად.

მართას „ცხოვრების“ ავტორის ცნობა 552 წელზე ოცი წლით ადრე ანტონის ხილვის შესახებ შეიძლება აგიოგრაფის თხრობის ხერხად მიგვეჩნია, მაგრამ თუ გავიხსენებთ შიოს და ევაგრეს „ცხოვრების“ იმ მითითებას, იოანე ზედაზნელმა და მისმა მოწაფეებმა ქართლში გამომგზავრებამდე „დიდი მნათობი“ „სვიმეონ საკვირველთმოქმედი“ რომ მოინახულეს, „ლოცვაჲ მისი მოიღეს და ესრეთ წარემართნეს გზასა ქართლად მიმყვანებელსა“[41], მართას „ცხოვრების“ ავტორის ცნობას რაღაც ახსნა შეიძლება მოეძებნოს. კერძოდ – 534 წელს ქართლში ასურელ მამათა მოსვლის შემდეგ ანტონი ბევრს შეიტყობდა სვიმეონის შესახებ. რის შემდეგაც, იგი, როგორც ჩანს, სვიმეონის მოღვაწეობის ადგილისაკენ გაემგზავრა.

2002 წელს გამოცემულ მონოგრაფიაში – „ასურელ მამათა სამშობლო და საქართველო“ როცა შიოსი და ევაგრეს „ცხოვრების“ ზემომოტანილი ცნობა გავაანალიზე, აღვნიშნე: 534 წელს, როცა იოანე ზედაზნელი თავისი მოწაფეებით ქართლისაკენ გამოემგზავრნენ, მართას ძე სვიმეონი – „უწლოვანი ბერი“ „დიდი მნათობი“ ვერ იქნებოდა და ვერც ასურელ მამებს მივიჩნევ მის მოწაფეებადო. ასურელმა მამებმა თუ მართლაც, „მიიღეს ლოცვა“ სვიმეონისაგან, მაშინ ეს სვიმეონის დედის – მართას ოჯახისადმი პატივისცემის გამოვლენად უნდა მივიჩნიოთ[42]. ამჯერად უნდა აღვნიშნო: ის ფაქტი, ასურელ მამათა ქართლში გამომგზავრებამდე 2 წლით ადრე – 11 წლის ბერს თვით ანტიოქიის პატრიარქი ეფრემიოსი და სელევკიის ეპისკოპოსი რომ ესტუმრნენ და იგი დიაკვნად აკურთხეს, „უწლოვანი ბერის“ – სვიმეონის დიდ ავტორიტეტზე მიგვანიშნებს. ორი წლის შემდეგ – 534 წელს ქართლისაკენ მომავალი ასურელი მამები, მართლაც, შეიძლებოდა სვიმეონთან მისულიყვნენ და მისგან ლოცვა მიეღოთ. მაგრამ სად მოინახულეს ასურელმა მამებმა სვიმეონი, საკვირველ მთაზე დამკვიდრებამდე სად მოღვაწეობდა იგი?

ადგილას, სადაც ქართულ თარგმანში „თორნე რკინისაჲ“ იხსენიება, დედანში იკითხება: Κλίβάνιον. ამ სიტყვით პურის საცხობი ღუმელისა და საჭურველს გარდა, რადგან „ეროზიით ჩაღრმავებული კლდეც“ აღინიშნებოდა, როგორც ჩანს, სვიმეონი ჩაღრმავებულ ადგილას იმყოფებოდა და შემდეგში ეკლესიაც იქ დაარსდა. ქართველმა მთარგმნელმა Κλίβάνιον თონედ თარგმნა და დაუმატა განსაზღვრება „რკინისაჲ“, რაც დედანში არ იყო. ამ ჩაღრმავებულ ადგილს მოყვანილობის გამო ბერძნები მოდეს უწოდებდნენ. ამიტომ წერდა ერთი ძველი ავტორი: „შეისწავე, რამეთუ ბერძენნი არა თორნედ, არამედ წმიდად მოდად უწოდენ წმიდა ეკლესიასა ჩუენ ქართველთასა“-ო (იხ. მენაბდე ლ., დასახ. ნაშრომი, გვ. 156–157).

[40] ლ. მენაბდეც იმ აზრისაა, რომ სვიმეონმა „თავისი ცხოვრების ერთი ნაწილი მონასტერში გაატარა“, ხოლო შემდეგ საკვირველ მთაზე იყო. იხ. მისი, დასახ. ნაშრომი, გვ. 150.

[41] ცხოვრებაჲ შიოსი და ევაგრესი, გვ. 81.

[42] მართას ოჯახი როგორც ადგილობრივ მოსახლეობაში, ისე ქართულ ემიგრაციაში დიდი პატივით სარგებლობდა. როგორც კ. კეკელიძე წერს, ეს ოჯახი ახლოს იცნობდა საქართველოსა და ქართველებს. იხ. Кекелидзе К. С., Житие Симеона Дивногорца, გვ. 12.

როგორც ზემოთ ითქვა, ჯერ კიდევ 6 წლის სვიმეონი „სელევკია ქალაქის“ მახლობლად, სოფელ ტიბერიანთან (იქვე იყო „დაბაჲ მცირე პილა“) არსებულ მონასტერში მიიყვანეს (როგორც ჩანს, 534 წელს იქ მოინახულეს იგი ქართლში მომავალმა ასურელმა მამებმა). ქ. სელევკია კი რადგან სირიაში მდ. ორონტზე მდებარე ანტიოქიის მახლობლად მდებარეობდა, გამოდის, რომ ასურელი მამები სირიიდან გამოემგზავრნენ ქართლში. ასე იყო მიჩნეული ეს ამ ბოლო ხანებამდე[43].

ზემოხსენებულ მონოგრაფიაზე მუშაობისას, როცა გაირკვა ასურელი მამები ქართლში ჩრდილო შუამდინარეთის ქ. ედესიდან (იგივე ანტიოქია, ურჰა) გამოემგზავრნენ, ედესიდან მათი ზღვისპირეთში ჩასვლა, რათა სვიმეონისაგან ლოცვა მიეღოთ, საეჭვოდ მეჩვენა. აშკარა იყო, შიოსი და ევაგრეს „ცხოვრება“ თუ არ ცდება[44] და ქართლში წამოსვლის წინ ასურელმა მამებმა, მართლაც, მიიღეს ლოცვა სვიმეონისაგან, მაშინ სვიმეონის თავდაპირველი მოღვაწეობის ადგილიც ქ. ედესის მახლობლად უნდა მეძია, სვიმეონის მამა ხომ ნელსაცხებლისა და „საკუმეველის“ ხელოვანი იყო ქ. ედესიდან[45].

540 წელს, როგორც ზემოთ ვნახეთ, სვიმეონი ჯერ კიდევ თავდაპირველი მოღვაწეობის ადგილს (ე. ი. ტიბერიანის მონასტერში) იმყოფებოდა. 540 წელს, როცა ირანის შაჰმა ხოსრო I-მა ანტიოქია მდ. ორონტზე აიღო, სვიმეონი ჯერ კიდევ არ იყო მისული საკვირველ მთაზე[46] (ამ ფაქტს მ. ბროსემ მიაქცია ყურადღება[47]). ე. ი. 534 წელს, ქ. ედესიდან ასურელ მამათა ქართლში გამომგზავრებისას, სვიმეონი ტიბერიანის მონასტერში მოღვაწეობდა. აქ თუ იმასაც გავითვალისწინებთ, ჩრდ. შუამდინარეთში ქ. ედესის მახლობლად (დასავლეთით) რომ მდებარეობდა ქალაქი, რომლის სახელი ასევე სელევკია იყო, მაშინ იქვეა საგულვებელი სოფ. ტიბერიანი თავისი მონასტრით[48] (როგორც ჩანს, იქვე იყო „დაბაჲ მცირე პილა“), რაც სვიმეონის თავდაპირველი მოღვაწეობის ადგილად ჩრდილო შუამდინარეთის ქ. სელევკიის მიდამოებს გვავარაუდებინებს.

ჩემ მიერ ასურელ მამათა თავდაპირველი მოღვაწეობის ადგილად მიჩნეულმა ქ. ედესამ, როგორც ცნობილია, ეს სახელი მაკედონელებისაგან მიიღო, რადგან იგი ძალიან ჰგავდა მათი ძველი დედაქალაქის – ეგის გარეუბან ედესას. ასევე, რადგან ალექსანდრე მაკედონელის იმპერიის ნანგრევებზე წარმოქმნილი სელევკიდთა სახელმწიფოს მეფეთა სახელებიდან მომდინარეობს, როგორც ზღვისპირა სირიაში, ისე შუამდინარეთში მდებარე ქალაქების – ანტიოქიისა და სელევკიების სახელები, სრულიად რეალური ჩანს, იქვე – ჩრდილო შუამდინარეთში ყოფილიყო „დაბაჲ მცირე პილა“, და მისი სახელიც მაკედონელთა ახალ დედაქალაქს – პელას უკავშირდებოდეს.

იმ ფაქტმა, ჩრდილო შუამდინარეთსა და სირიაში რომ იყო ერთი და იგივე სახელის ქალაქები (ანტიოქია, სელევკია), დიდად შეაფერხა ასურელ მამათა თავდაპირველი მოღვაწეობის ადგილის გარკვევა. თუმცა, ასურელ მამათა „ცხოვრებაში“ მათ სამშობლოდ მითითებული რომაა: „ასურეთი“, „ქუეყანაჲ შუამდინარისაჲ“, „ანტიოქია შუამდინარისაჲ“, „ედესია ქალაქი“ (ასეა დასახელებული

---

[43] კეკელიძე კ., საკითხი სირიელ მოღვაწეთა ..., გვ. 31. ამ საკითხის შესახებ იხ. ვ. გოილაძე, ასურელ მამათა სამშობლო და საქართველო, თბ., 2002, გვ. 140, შენ. 3.

[44] აკად. კ. კეკელიძის მტკიცებით, ასურელ „მამებს თვალითაც არ უნახავთ სვიმეონი“, და „არავითარი კავშირი... სვიმეონ საკვირველმოქმედთან არ ჰქონიათ“. კეკელიძე კ., დასახ. ნაშრომი, გვ. 40.

[45] ცხორებაჲ სჳმეონ მესვეტისაჲ, გვ. 216.

[46] მერკვილაძე დ., დასახ. ნაშრომი, გვ. 21. სვიმეონის ცხოვრებაში მოთხრობილია 540 წელს ხოსრო I-ის მიერ ქ. ანტიოქიის აღების შესახებ. იხ. ცხორებაჲ სჳმიონ მესუეტისაჲ, გვ. 243–244.

[47] მერკვილაძე დ., დასახ. ნაშრომი, გვ. 21.

[48] ჯერ კიდევ IV ს-ის შუახანებში ქ. ედესის დასავლეთით „მახლობლად ქალაქისა“ მთაში „იყვნეს მონასტერნი მრავალნი დედათა და მამათანი“ (იხ. ცხოვრებაჲ და განგებაჲ წმიდისა... ეფრემისაჲ. მამათა ცხოვრებანი. გამოსცა ვ. იმნაიშვილმა, თბ., 1975, გვ. 228).

იოანე ზედაზნელის ერთ-ერთი მოწაფის – ანტონ მარტყოფელის თავდაპირველი მოღვაწეობის ადგილი)[49], მკვლევართათვის კარგი ორიენტირი უნდა ყოფილიყო ასურელ მამათა სამშობლოს დასადგენად.

X–XI საუკუნეებში, როგორც ქართულ, ისე უცხოურ საისტორიო ტრადიციას, როგორც ჩანს, დავიწყებული ჰქონდა ქ. ედესა იგივე ანტიოქია რომ იყო, რამაც გაურკვევლობა შეიტანა როგორც სვიმეონის, ისე მართას „ცხოვრების“ ავტორთა თხრობაში, კერძოდ, სვიმეონისა და მართას თავდაპირველი მოღვაწეობის ადგილის განსაზღვრაში[50].

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, ისტორიულ რეალობასთან უფრო ახლოს იქნება ტიბერიანის მონასტერი, სადაც საკვირველ მთაზე გადასვლამდე სვიმეონი მოღვაწეობდა, ჩრდილო შუამდინარეთის ქ. სელევკიის მახლობლად მდებარედ ჩავთვალოთ. ამ შემთხვევაში 534 წელს შუამდინარეთის ქ. ედესის ან მის მახლობლად მდებარე მონასტრიდან ქართლში მომავალი ასურელი მამები, მართლაც, ადვილად მოინახულებდნენ სვიმეონს და მისგან ლოცვას მიიღებდნენ. როგორც ზემოთ აღვნიშნე, ასურელი მამების ქართლში შემოსვლის შემდეგ ანტონ ქართველს უნდა დაეტოვებინა სამშობლო და საზღვარგარეთ წასულიყო.

ამბა ანტონი ერთ-ერთი იმ ქართველთაგანია, რომლებიც მართასა და სვიმეონის „ცხოვრებებში“ მრავლად იხსენიებიან. მართას „ცხოვრებაში“ ანტონი ქართველი რომ „მღვდლად“ და „ხუცესად“ არის დასახელებული, ამაში უჩვეულოდ არაფერი მეჩვენება, მაგრამ ანტონ ქართველს რომ სირიული ზეწოდება – „ამბა“ მიეღო (სვიმეონის „ცხოვრების“ გარდა ასეა ანტონი დასახელებული იერუსალიმის ქართველთა მონასტრის პირველ მოზაიკურ წარწერაში), სირიულ ან ასურულ სამყაროსთან უნდა ყოფილიყო დაკავშირებული. რადგან საქართველოში ყოფნისას იგი ამ წოდებას ვერ მიიღებდა (სასულიერო ტიტული „ამბა“ საქართველოში ასურელი მამის – ამბა ალავერდელის კახეთში დამკვიდრების შემდეგ ჩნდება[51]), ამიტომ, როგორც ზემოთ აღვნიშნე, ასურელ მამათა ქართლში შემოსვლის შემდეგ ახლო ხანაში ანტონ ქართველი თვით უნდა გამგზავრებულიყო სვიმეონთან ჩრდილო შუამდინარეთში. ალბათ იქ აკურთხეს იგი მღვდლად – გახდა „ამბა ანტონი“ (მამა ანტონი). გარკვეული დროის შემდეგ იერუსალიმის ქართველთა მონასტრის წინამძღვრად დაინიშნა. 552 წლის იანვარში, ანტონ ქართველი როცა საკვირველ მთაზე სვიმეონთან ჩავიდა, მიწისძვრისაგან დაზიანებული მონასტერი აღდგენილი იყო. მის განახლებაში თავის ღვაწლის შესახებ, მან 551 წლის წინა ხანაში შესრულებულ მოზაიკურ წარწერაში მიუთითა[52].

ზემოთქმულს თუ ისტორიულ რეალობად ჩავთვლით, მაშინ უნდა ვივარაუდოთ, რომ 552 წლის იანვარში საკვირველ მთაზე ანტონი ქართველის პირველად ჩასვლისას, მას და სვიმეონს დიდი ხნის ნაცნობობა და ურთიერთპატივისცემა აკავშირებდა. ამ მხრივ, ვფიქრობ, სვიმეონის ეპისტოლედან ერთი დეტალია საინტერესო. ეპისტოლეში სვიმეონი კვლავ უბრუნდება სამი ქართველის (რომელთაგან ერთს – ამბა ანტონს ხელთ „ცხოველსმყოფელი ძელი იგი ჯუარისაჲ“ ეპყრა) ხილვის ამბავს და წერს: ანტონი იყო „ორთა თანა სხუათა მონაზონთა რომელნი არა ოდეს

---

[49] გოილაძე ვ., ასურელ მამათა სამშობლო..., გვ. 140–143.

[50] ვახტანგ გორგასლის „ცხოვრების“ ავტორი ჯუანშერი „ანტიოქიას“ რომ ქ. ნისიბისის სახელად ხმარობდა, ქართული საზოგადოებისათვის ამ ბოლო ხანს გახდა ცნობილი. იხ. გოილაძე ვ., ქალაქი ანტიოქია „ვახტანგ გორგასლის ცხოვრებაში“, ჟურნალი „დროშა“, 1986 № 1, გვ. 13–14.

[51] იხ. სტ. ამბა. ქსე, ტ. I, გვ. 351.

[52] წერეთელი გ., დასახ. ნაშრომი, გვ. 28. კ. კეკელიძის თანახმად, VI ს-ის ბიზანტიელი ავტორის პროკოპიოს კესარიელის ცნობაში იმპერატორ იუსტინიანე I-ის მიერ იბერთა და ლაზთა მონასტრების განახლების შესახებ, შესაძლოა, პეტრე იბერის მიერ აგებული მონასტერი იგულისხმება. იხ. მისი, ქართული ლიტ. ისტორია, I, თბ., 1960, გვ. 89.

მეხილნეს“-ო[53]. თუ გავიხსენებთ იმას, რომ ჰაგიოგრაფი სვიმეონის იმ ხილვაზე გვესაუბრება, როცა სვიმეონმა სამი ქართველი მონაზონი პირველად იხილა, იმ ხანად მას ანტონის სახელი არ უნდა სცოდნოდა, ხოლო ამჯერად თომა მეჯვარისადმი მიწერილი წერილში არ უნდა ეთქვა, მასთან ჩასული სამი მონაზვნიდან მხოლოდ „ორი არა ოდეს ეხილა“ (ე. ი. ანტონი მისთვის უცნობი არ იყო). პირველი ხილვისას სვიმონისათვის სამივე ქართველი უცნობი უნდა ყოფილიყო.

როგორც ვხედავთ, მართას „ცხოვრების“ ავტორის ცდა, ამბა ანტონი სვიმეონისათვის უცნობ პირად წარმოაჩინოს, თანმიმდევრული არაა. იგი ბოლომდე ვერ ახერხებს ანტონი ქართველი სვიმეონისათვის უცხო პიროვნებად წარმოგვიდგინოს. ხილვებზე აგებულ თხრობაში ისტორიული რეალობა გამოსჭვივის. ვფიქრობ, ის ფაქტი, სვიმონი სწორედ ამბა ანტონს (და არა თვით აღდგომის ეკლესიის მონაზონს პავლეს, რომელიც ასევე მასთან იყო საკვირველ მთაზე) ანდობს იერუსალიმის აღდგომის ეკლესიიდან მისთვის ცხოველმყოფელი ძელის ნაწილის ჩატანას და საკვირველი მთიდან მასვე ატანს იერუსალიმში თავის ეპისტოლეს (გავიხსენოთ, ამბა ანტონი და აღდგომის ეკლესიის მონაზონი პავლე საკვირველ მთაზე სვიმეონს ერთად წარუდგნენ), იმაზე მიგვანიშნებს – სვიმეონ მესვეტე ანტონ ქართველს თავის ახლობელ პირად თვლიდა. საეჭვო არ უნდა იყოს, სწორედ ამ სიახლოვემ რომ განაპირობა სვიმეონის მიერ ანტონი ქართველის ქ. სელევკიის ეპისკოპოსად კურთხევა.

რაც შეეხება სვიმეონის ეპისტოლის საპასუხო – ე. ი. აღდგომის ეკლესიის წინამძღვრის თომას ეპისტოლეს, მასში შემდეგი ადგილია საინტერესო. როგორც ჰაგიოგრაფი წერს, აღდგომის ეკლესიის წინამძღვარმა თომამ კი წაიკითხა სვიმეონის წერილი და საპასუხო ეპისტოლეც გაუგზავნა, მაგრამ რომელ ენაზე იყო შედგენილი სვიმეონის წერილი?

ადრებიზანტიურ ხანაში იმპერიის ოფიციალური ენა, მართალია, ლათინური იყო, მაგრამ სირიაში ამ ენაზე მხოლოდ რომაელი მოხელეები საუბრობდნენ. რაც შეეხება ბერძნულ ენას, სირიაში ელინიზაციის ხანგრძლივი პროცესის მიუხედავად, ბერძნულმა ენამ სირიის მოსახლეობისათვის საერთო ენის ფუნქცია ვერ მოიპოვა, სოფლის მოსახლეობა სირიულად საუბრობდა. ისეთმა გამოჩენილმა პირებმაც კი, როგორებიც იყვნენ: წმიდა ეფრემ ასური, წმიდა აბრაამი და მაკედონიუსი, ბერძნული ენა არ იცოდნენ. წარმოშობით შუამდინარელი დანიელ მესვეტეც კი პალესტინაში სირიულ ენაზე (σύρα διαλεκτω) ლაპარაკობდა[54].

რომ გავერკვეთ, რამ განაპირობა პალესტინაშიც კი სირიული ენის გაბატონება, მოვუსმინოთ აკად. ივ. ჯავახიშვილს. ბაბილონის ტყვეობამ, – წერს ივ. ჯავახიშვილი, – ებრაელებს (მათ შორის იერუსალიმის მცხოვრებლებს - ვ. გ) მშობლიური ენა „დაავიწყა და არამეული და ასურული იმდენად შეათვისებინა, რომ მათ ერთადერთ სასაუბრო ენად იქცა[55]. ძვ. წ. II საუკუნეში ებრაელთა საღმრთო წერილის წიგნებიც კი უკვე ებრაულად კი არა, ასურულად იწერებოდა[56]. ბიზანტიური ჰაგიოგრაფიის, ცნობილი მკვლევრის ა. რუდაკოვის თანახმად, პალესტინაში დიდი ხანი იყო, რაც დავიწყებული ჰქონდათ ებრაული და მოსახლეობა არამეულად და სირიულად საუბრობდა[57]. ალბათ, აღნიშნულით უნდა აიხსნას, პეტრე იბერი იერუსალიმში რომ ჩავიდა, „ისწავა მუნ ენაჲ და სწავლაჲ ასურებრივი“[58].

---

[53] ცხორებაჲ და მოქალაქეობაჲ ნეტარისა მართაჲსი..., გვ. 67.

[54] Рудаков А. П., Очерки византийской культуры по данным греческой агиографии, М., 1917, გვ. 46–47.

[55] ჯავახიშვილი ივ., ქართული პალეოგრაფია, თბ., 1949, გვ.259.

[56] იქვე.

[57] Рудаков А. П., დასახ. ნაშრომი, გვ. 47.

[58] ცხოვრებაჲ და მოქალაქეობაჲ... პეტრე ქართველისაჲ. ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტ. ძეგლები. წ. II (XI–XV სს.), თბ., 1967, გვ. 224.

ე. ი. როგორც პეტრე იბერის, ისე შემდგომ ხანაში – სვიმეონ მესვეტისა და ამბა ანტონის მოღვაწეობისას პალესტინასა და სირიაში (ცხადია, საკვირველ მთაზეც) ძირითადად სირიულად საუბრობდნენ და, თავისთავად იგულისხმება, რომ იერუსალიმში მიწერილი სვიმეონის წერილიც სირიულ ენაზე უნდა ყოფილიყო შედგენილი, მაგრამ, რადგან თომა წინამძღვარი სვიმეონს ატყობინებდა: შენ მიერ გამოგზავნილი ეპისტოლე წავიკითხე, მაგრამ მასში „მოსეს სიტყვათაგან იგავნი რომელნიცა იგი ძნიად სათარგმანებელად აღუჩინეს სისულელესა ამას ჩემსა“-ო[59], ჩანს, რომ სვიმეონის ეპისტოლეში „მოსეს იგავნი“ სხვა ენაზეც ყოფილა ჩართული.

ამრიგად, სვიმეონის მიერ სირიულ ენაზე შედგენილ ეპისტოლეში მოსეს სიტყვები ისეთ ენაზე იყო ჩაწერილი, რომლის გაგება აღდგომის ეკლესიის წინამძღვარს – თომას გაუჭირდა.

რომელ ენაზე იყო სვიმეონის ეპისტოლეში მოსეს სიტყვათაგან იგავები?

მოსეს სიტყვათაგან იგავები სვიმეონის ეპისტოლეში, ცხადია, არამეულ ენაზე იყო ჩართული, რის გამოც, წერილის ეს ნაწილი თომასათვის ცოტა ძნელი სათარგმნელი ყოფილა[60]. სვიმეონ მესვეტესა და ამბა ანტონს რა აახლოვებდა ამ ენასთან?

როგორც ზემოთ ითქვა, სვიმეონის მამა იოანე წარმოშობით ქ. ედესიდან იყო და, თვით სვიმეონიც დაახლ. 540 წლამდე მაინც, ჩრდილო შუამდინარეთში, ქ. ედესის მახლობლად მოღვაწეობდა. ამიტომ მას არამეული ენა კარგად უნდა სცოდნოდა.

სვიმეონ მესვეტის სამშობლო – ქ. ედესა ადრექრისტიანული ხანიდან დიდ კულტურულ და რელიგიურ ცენტრს წარმოადგენდა (ერთი ცნობით, ქალაქსა და მის შემოგარენში 300-მდე ეკლესია-მონასტერი იყო). ქალაქის სიმდიდრესა და ეკონომიკურ სიძლიერეს მისი დიდ სავაჭრო გზების გადაკვეთაზე მდებარეობა განაპირობებდა. ქ. ედესის მოსახლეობის ძირითად ნაწილს ასირიელები წარმოადგენდნენ და მათი ენა ინარჩუნებდა გაბატონებულ მდგომარეობას. სვიმეონის მოღვაწეობის დროისათვის სწორედ ამ ენაზე უკავშირდებოდა ერთმანეთს ახლო აღმოსავლეთის თითქმის ყველა დიდი ცენტრის მოსახლეობა. თუმცა ქალაქში ცხოვრობდნენ სხვადასხვა ეროვნებათა წარმომადგენლები, მათ შორის ქართველები[61].

ჩრდილო შუამდინარეთში ქართველურ სამყაროს საკუთრივ ისტორიული საქართველოდან იქ ჩასულთა გარდა, ძველი კარდუხების (გორდიების), მუშქთა (კაპადოკიელები) და შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთით მცხოვრები ქართველური წარმომავლობის ტომთა შთამომავლები ქმნიდნენ. 363 წელს ირანთან დადებული საზავო ხელშეკრულებით, ძველ კარდუხთა ქვეყანა (მისი მთავარი ქალაქი იყო ნისიბისი. ვახტანგ გორგასლის „ცხოვრებაში“ ეს ქალაქი ანტიოქიად იხსენიება) რადგან ირანის მფლობელობაში მოექცა, ამ მხარის ქრისტიანი მოსახლეობის ნაწილი ქ. ედესაში გადასახლდა (მათ შორის იყო ეფრემ ასური), რის შედეგადაც ქ. ედესაში ქართველური მოსახლეობა გაძლიერდა. ქ. ედესასა და ნისიბისის რაიონში ქართველური მოსახლეობა 363 წლის შემდეგაც რომ განაგრძობდა არსებობას, ამის დასტურად უნდა მივიჩნიოთ სვიმეონის „ცხოვრებიდან“ ერთი ადგილი, რომელიც ჰაგიოგრაფს ხილვის სახით არ აქვს მოთხრობილი: „დღესა ერთსა იყო წ´დაჲ იგი განკჳრვებასა შ´ა. იხილა **ერი დიდძალი** ფ˜დ **მამათა** და **დედათაჲ და ყრმათაჲ**. და აქუნდა ჴელთა მათთა ჯ˜რები და მოვიდოდეს იგინი **აღმოსავალით** მისა ლიტანიითა და ლოცვითა. რ˜ლთა შესწირვიდეს ღˆთისა მიმართ. და სული წ´დაჲ ჰფარვიდა მათ. ყ˜ლსა მას ერსა. და თანაუვიდოდა“. როცა ეს ხალხი საკვირველ მთასთან მივიდა, „სულმან წ´მან“ ჰკითხა სვიმეონს, ვინ იყვნენ მოსულები.

---

[59] ცხორებაჲ და მოქალაქეობაჲ ნეტარისა მართაჲსი, გვ. 70.

[60] სირიული ენა არამეული ენის ერთ-ერთ დიალექტს წარმოადგენს. კლასიკური ანუ ძველი სირიული (არამეული) ქ. ედესისა და მის რაიონში მცხოვრებთა სასაუბრო ენა იყო. იხ. წერეთელი კ., სირიული ენა. ქსე, ტ. 9, გვ. 386–387.

[61] წერეთელი კ., დასახ. სტატია. ამ საკითხებზე ვრცლად იხ. გოილაძე ვ., ასურელ მამათა სამშობლო..., თავი VII, VIII.

სვიმეონმა უპასუხა: „ესე არს ნათესავი ქართველთაჲ“. რომელნი... „კ-დ დაემკჳდრნენ მათგანნი მონასტერსაცა შენსა“-ო. ამ ხილვიდან მცირე ხნის შემდეგ მართლაც „მოვიდა **ერი მრავალი** ქართველთაჲ ლიტანიითა და აქუნდა ჴელთა მათთა ჯ˜რები“[62].

საკვირველ მთაზე „აღმოსავლით“ ქართველთა „ერი მრავალის“ მისვლა – ედესა-ნისიბისის მხარეებში „ნათესავით ქართველთა“ ცხოვრებას მოწმობს (ქართველები იხსენიებიან სვიმეონ მესვეტე უფროსის (გარდ. 459 წ.) „ცხოვრებაშიც“. იხ. გეორგიკა, I, თბ., 1961, გვ. 225).

ახლა ისევ ქ. ედესის ქრისტიანულ სამყაროს დავუბრუნდეთ.

ქრისტიანობის პირველ საუკუნეებში ჩრდილოშუამდინარული კულტურის დიდმა აღმავლობამ განაპირობა ძირითადად ქ. ედესის (რომლის მოსახლეობა ახ. წ. II საუკუნისათვის ქრისტიანი იყო) რაიონში არამეული – კლასიკური სირიული ენის ჩამოყალიბება. ედესაშივე შეიქმნა კლასიკური ქრისტიანული ლიტერატურა. როგორც პროფ. კ. წერეთელი წერს, ბიბლიის ტექსტების არამეული თარგმანებიდან უძველესია მოსეს ხუთი წიგნის პალესტინის თურგუმი (ე. ი. თარგმანი). უფრო გვიან, ახ. წ. V საუკუნის შემდეგ შეიქმნა „თურგუმები“ მოსეს ხუთი წიგნისათვის[63]. როგორც ჩანს, სწორედ ბიბლიის ამ არამეული ტექსტიდან იყო ჩართული სვიმეონის მიერ სირიულ ენაზე შედგენილ წერილში „მოსეს სიტყვათაგან იგავნი“.

აი, ასეთ გარემოში იყო დაბადებული სვიმეონ მესვეტე და, როგორც მე ვვარაუდობ, ამ კუთხეში უნდა გაეტარებინა თავისი ცხოვრების ნაწილი ანტონ ქართველსაც, სადაც არამეულ განათლებასა და კულტურას უნდა ზიარებოდა. 551 წლის წინა ხანაში სვიმეონისა და ანტონ ქართველის ნაცნობობა უნდა ედოს საფუძვლად ჰაგიოგრაფიის პასაჟს 552 წელზე ოცი წლით ადრე ანტონის ხილვის შესახებ. შემთხვევითი არც ის უნდა იყოს, საკვირველ მთაზე რამდენიმე წლის ყოფნის შემდეგ, სვიმეონმა ანტონ ქართველი ქ. სელევკიის ეპისკოპოსად რომ აკურთხა.

ასეთი მსჯელობა უსაფუძვლოდ არ მოგვეჩვენება თუ გავიხსენებთ: იერუსალიმის ქართველთა მონასტრის (რომლის წინამძღვარიც ამბა ანტონი იყო) დამაარსებელი პეტრე იბერი იაკობ სპარსის ეთიოპიურ და არაბულ სვინაქსარებში ურჰაელად (ედესელად), ხოლო მის მიერ იერუსალიმში დაარსებული მონასტერი „ურჰაელთა მონასტრად“ რომ იწოდება[64] (ასევე ურჰაელად იწოდება V ს-ში ქართველი სასულიერო მოღვაწე იერემია იბერიელი[65]).

ზემოთ სვიმეონ მესვეტის მიერ როცა ანტონი ქართველის ქ. სელევკიის ეპისკოპოსად კურთხევის შესახებ ვსაუბრობდი, საკითხი დავსვი: საპატრიარქოებში შემავალი ცალკეული ეპარქიების ეპისკოპოსთა ხელდასხმა პატრიარქის (ამ შემთხვევაში ანტიოქიის პატრიარქის) პრეროგატივას წარმოადგენდა, ამიტომ ისეთ პიროვნებასაც კი, როგორიც სვიმეონ მესვეტე იყო, ჰქონდა ასეთი უფლება?

აკად. გ. წერეთელი, როგორც ითქვა, ანტონ ქართველს „ანტონ სელევკიელადაც“ იხსენიებს[66], მაგრამ არც მას და არც იმ მკვლევრებს (მ. თარხნიშვილი, კ. კეკელიძე, ლ. მენაბდე და სხვანი), რომლებიც ანტონ ქართველის მოღვაწეობის საკითხს შეეხნენ, ამ დეტალისათვის ყურადღება არ მიუქცევიათ. ქვემოთ შევეცდები, სვიმეონ მესვეტის ასეთი ქმედება ავხსნა.

---

[62] ცხორებაჲ სჳმეონ მესუეტისაჲ, გვ. 260–261.

[63] წერეთელი კ., არამეული ლიტერატურა. ქსე, ტ. I, თბ., 1975, გვ. 538.

[64] Хонигман Э., Петр Ивер и сочинения пс. Дионисия Ареопагита. თბილისის უნ-ტის შრომები, 59, თბ., 1955, გვ. 68–69; ვ. გოილაძე, დასახ. ნაშრომი, თავი X.

[65] გოილაძე ვ., დასახ. ნაშრომი, გვ. 116. პეტრეს მისი ბიოგრაფი იოანე რუფუსი ასე იხსენიებს: „ეპისკოპოსი აბა პეტრე იბერი“. იხ. დევო პ., როდის ჩავიდა პეტრე იბერი იერუსალიმში, ჟურნალი „ცისკარი“, 1983, № 3, გვ. 159.

[66] წერეთელი გ., დასახ. ნაშრომი, გვ. 28.

კანონიკური სამართლით ანტონ ქართველის სელევკიის ეპისკოპოსად კურთხევა რადგან ანტიოქიის პატრიარქის პრეროგატივას წარმოადგენდა, სვიმეონ მესვეტეს ასეთი ნაბიჯი მხოლოდ საგანგებო ვითარებისას, ან მაშინ შეიძლებოდა გადაედგა, ანტიოქიის საპატრიარქო კათედრა თუ დაქვრივებული იყო. 552 წლის შემდეგ ასეთი ვითარება ანტიოქიის საპატრიარქოში 561 წელს იაკობიტი პატრიარქის სერგის გარდაცვალების (?) შემდეგ შეიქმნა.

რომ გავერკვეთ, ვინ იყვნენ იაკობიტები და რამ გაართულა იმპერიაში რელიგიური ვითარება, 451 წ. ქ. ქალკედონში გამართული მეოთხე მსოფლიო საეკლესიო კრების შემდგომ ბიზანტიის აღმოსავლეთ პროვინციებში – განსაკუთრებით სირიასა და ეგვიპტეში შექმნილ რელიგიურ ვითარებას უნდა გავადევნოთ თვალი. ამ მოკლე მიმოხილვაში ჩემ მიერ ზემოთ დასმულ კითხვასაც (სვიმეონ მესვეტეს აღდგომის ეკლესიიდან რატომ უგვიანებდნენ ცხოველმყოფელი ჯვრის ნაწილის ჩამოტანას) გავცემ პასუხს.

VI საუკუნის შუახანებში იმპერიის აღმოსავლეთში – ძირითადად ანტიოქიის საპატრიარქოში, დიოფიზიტებსა და მონოფიზიტებს შორის მწვავე ბრძოლა მიმდინარეობდა, იაკობიტებიც მონოფიზიტები იყვნენ. იაკობიტთა მიმდინარეობა განსაკუთრებულ ვითარებაში, ბიზანტიის საიმპერატორო ტახტზე დიოფიზიტური კურსის აქტიური გამტარებლის – იმპერატორ იუსტინიანე I-ის (527–565 წწ.) დროს ჩამოყალიბდა. ამიტომ საინტერესოა, იმპერიის ამ ერთ-ერთი უძლიერესი მმართველის ზეობაში რამ განაპირობა ასეთი ვითარების შექმნა?

526 წლის 26 მაისს ანტიოქიასა და მის მიდამოებში მომხდარმა მიწისძვრამ მრავალი ათასი ადამიანის, მათ შორის – პატრიარქ ევფრასიოსის (Euphrasius) სიცოცხლე შეიწირა. იმ ხანად იმპერიის აღმოსავლეთი პროვინციების გამგებელი (კომიტი) წარმოშობით ასური (შუამდინარეთის ქ. ამიდიდან იყო) – ეფრემი იმდენად ზრუნავდა მოსახლეობაზე, რომ 527 წლის აპრილში (ან მაისში) მოსახლეობამ იგი ანტიოქიის პატრიარქად აირჩია[67].

527 წლის 1 აგვისტოს საიმპერატორო ტახტზე ასულმა იუსტინიანე I-მა გამოსცა ედიქტი, რომელიც ყველა მონოფიზიტს ქალკედონის მრწამსის აღიარებას ავალდებულებდა[68]. ედიქტმა ანტიოქიაში მონოფიზიტთა დიდი მღელვარება გამოიწვია. ვითარების მოსაწესრიგებლად, იუსტინიანე I-ის ბრძანებით, 533 წელს კონსტანტინოპოლში საეკლესიო კრება იქნა მოწვეული. კრებაზე ქალკედონის მრწამსის აღმსარებლებსა (მართლმადიდებლები) და მათ მოწინააღმდეგეთა (მონოფიზიტების) კამათისას, იუსტინიანესათვის ნათელი გახდა – მათი შერიგება შეუძლებელი იყო[69]. ამიტომ გადაწყვიტა: რათა ანტიქალკედონიტ ეპისკოპოსებს არ შეძლებოდათ თავიანთი მომხრე სასულიერო პირთა ხელდასხმა, ისინი იზოლაციაში ჰყოლოდა.

ასეთ ვითარებაში 542 (თუ 543) წელს კონსტანტინოპოლში ჩავიდა იმპერიის მოკავშირე არაბი ჰასანიდების სახელმწიფოს ბელადი ხარის იბნ ჯაბალა და მონოფიზიტთა მფარველ დედოფალს თეოდორას სთხოვა, ნება დაერთო, მისი ქვეშევრდომებიდან 2–3 ეპისკოპოსი ეკურთხებინათ[70]. ამის შემდეგ მონოფიზიტმა ეპისკოპოსებმა, რომელთაც კონსტანტინოპოლსა და მის მიდამოებში ნაკლებად მეთვალყურეობდნენ, ეპისკოპოსებად აკურთხეს ორი სირიელი მონაზონი – იაკობ ბარადეია და თეოდორე. თეოდორე ქ. ბოსტრის ეპისკოპოსი გახდა, ხოლო იაკობმა ქ. ედესის

---

[67] Чичуров И. С., Антиохийская Православная церковь. Православная энциклопедия. Том II, М., 2001, გვ. 508. „ედესის ქრონიკაში“ ეფრემი ანატოლიის კომიტად (Κόμῆs τῆs’ Ανατολῆs) არის დასახელებული. Пигулевская Н. В., Эдесская хоника. Палестинский сборник, выпуск 4 (67), М.-Л., 1959, გვ. 95.

[68] Чичуров И. С., დასახ. ნაშრომი, გვ. 508.

[69] იქვე.

[70] იქვე. ალ-ხარის იბნ ჯაბალა (529–569) საიმპერატორო ხელისუფლების მიერ სირიისა და პალესტინის არაბთა მმართველადაც იყო დანიშნული.

საეპისკოპოსო კათედრა დაიკავა[71], რის შემდეგაც მოიარა მთელი აღმოსავლეთი. ი. კულაკოვსკის სიტყვით, მიუხედავად იმისა, რომ ხელისუფლება ცდილობდა იაკობ ბარადეიასათვის მისიონერული მიმოსვლა შეეზღუდა, მოციქულთა მსგავსად იგი ფეხით დადიოდა თავის უზარმაზარ სამწყსოში, იყო ყველგან და ყოველთვის მიუწვდომელი. ამ გზით შეძლო 27 ეპისკოპოსისა და 100 ათასზე მეტი პრესვიტერისა და დიაკონის ხელდასხმა[72]. ანტიოქიაში კი ისე გამწვავდა ვითარება, რომ 545 წელს პატრიარქმა ეფრემმა კათედრა დატოვა და გაქცევით უშველა თავს[73]. პატრიარქი დომნინ III (Domnin) (545–559) გახდა. მის პატრიარქობის დასაწყისში ანტიოქიის ეკლესიაში საბოლოოდ გაფორმდა განხეთქილება. იაკობ ედესელის მეცადინეობით ანტიოქიაში (ასევე ალექსანდრიაში) კანონიერი საეკლესიო იერარქების გვერდით აღმოცენდა ახალი საპატრიარქო და ეპისკოპოსთა ქსელი. ეს უკანასკნელნი, ცხადია, არ ცნობდნენ ქალკედონის კრების გადაწყვეტილებებს. მათი პირველი პატრიარქი სერგი (Serge de Tella. ქალაქი ტელა ჩრდ. შუამდინარეთში მდებარეობდა) (557/558 – დაახლ. 561 წ.), როგორც XIII საუკუნის სირიელი ავტორი ბარ ებრაი წერს, მყარად ვერ ახორციელებდა ძალაუფლებას[74], რის შედეგად მისი პატრიარქობის დროს იაკობიტელთა ცალკე ეკლესიამ დაიწყო არსებობა.

ჩრდილო შუამდინარეთისა და სირიის მოსახლეობა (ძირითადად ბერძნები და სირიელები) მონოფიზიტური და დიოფიზიტური აღმსარებლობის მიუხედავად თუ ერთი ეკლესიის (ანტიოქიის საპატრიარქო) მრევლს წარმოადგენდნენ, ამჯერად საპატრიარქოს ტერიტორიაზე ორი დაპირისპირებული საპატრიარქო შეიქმნა. იაკობ ბარადეიას მოღვაწეობის შედეგად ჩამოყალიბებულ საეკლესიო ორგანიზაციის მიმდევრებს – მისი სახელის მიხედვით, მართლმადიდებლები (ქალკედონური მრწამსის აღმსარებლები) იაკობიტებს უწოდებდნენ. ქალკედონიტები (დიოფიზიტები) კი იაკობიტებისათვის მელიქიტები (ე. ი. მეფის, იმპერატორის მომხრეები) იყვნენ. ისინი საიმპერატორო ხელისუფლების კურსს უჭერდნენ მხარს. ამ დაპირისპირებულ ეკლესიათა ურთიერთობაში მთავარი ის იყო, რომ ორივე მხარე იბრძოდა ვაკანტურ საეპისკოპოსო კათედრებზე თავისი მომხრეები დაესვა.

ასეთ გარემოში უხდებოდათ მოღვაწეობა, როგორც სვიმონ მესვეტეს, ისე მის დედას მართას და ანტონ ქართველს. მართას „ცხოვრების“ ავტორის მითითება სვიმეონის მიერ ანტონ ქართველის ქ. სელევკიის ეპისკოპოსად კურთხევის შესახებ იმაზე მიგვანიშნებს, საკვირველ მთაზე განდეგილობის მიუხედავად, სვიმეონ მესვეტე ანტიოქიის საპატრიარქოში მიმდინარე რელიგიური პროცესებისადმი გულგრილი არ იყო. პირიქით, მის მიერ ანტონ ქართველის ქ. სელევკიის ეპისკოპოსად კურთხევა (უნდა ვიგულისხმოთ მის მიერ ანტონის ეპისკოპოსად წარდგენა, რომელიც მელიქიტ პატრიარქს უნდა დაემტკიცებინა), იაკობიტებსა და მელიქიტებს შორის მიმდინარე ბრძოლაში სვიმეონის

---

[71] იაკობ ბარადეიამ იმ ხანად კონსტანტინოპოლში მყოფი ალექსანდრიის პატრიარქის თეოდორე I-საგან (535–566) საიდუმლო ნებართვა მიიღო დაენიშნა როგორც ეპისკოპოსები, ისე პრესვიტერები (იქვე). საპატრიარქო კათედრიდან გადაყენებული თეოდოს I პატრიარქის ტიტულს არ თმობდა. ეგვიპტის ეკლესია კი, ისე როგორც ანტიოქიისა, ორ საპატრიარქოდ იყო გაყოფილი. იხ. Кулаковский Ю., История Византии, т. II (518–602), Киев, 1912, გვ. 260. ეგვიპტის პატრიარქთა რიგის შესახებ იხ. Grumel V., დასახ. ნაშრომი, გვ. 443–444.

[72] Кулаковский Ю., დასახ. ნაშრომი, გვ. 259.

[73] Чичуров И. С., დასახ. ნაშრომი, გვ. 508.

[74] იქვე. მონოფიზიტებსა და დიოფიზიტებს შორის დაპირისპირება ზოგჯერ სისხლიანი შეტაკებებით სრულდებოდა. ასე მოხდა ანტიოქიაში 562 წელს. ამიტომ იმპერატორ იუსტინიანე I-ის ბრძანებით, აღმოსავლეთის კომიტი მათ დასასჯელად სხვადასხვა ღონისძიებას (გასახლება, ქონების ჩამორთევა, სხეულის ნაწილის მოჭრა) ატარებდა. იხ. Кулаковский Ю., დასახ. ნაშრომი, გვ. 260. აკად. კ. კეკელიძე ტრაგიკულად აღწერს საიმპერატორო ხელისუფლებისაგან დევნილ მონოფიზიტთა მდგომარეობას. იხ. მისი, საკითხი სირიელ მოღვაწეთა..., გვ. 25–34.

აქტიურ ჩარევას მოწმობს. მაგრამ, რომელ წელს აკურთხა სვიმეონმა ანტონ ქართველი ქ. სელევკიის ეპისკოპოსად?

ამ მხრივ გარკვეული მითითება თვით მართას „ცხოვრებაში“ გვაქვს. „ცხოვრების“ ავტორის თანახმად, მას შემდეგ, რაც ანტონ ქართველი საკვირველ მთაზე დარჩა, „ჟამთა რავდენთამე“ სვიმეონმა იგი სელევკიის ეპისკოპოსად აკურთხა. „ცხოვრებაში“ ამ ცნობას იქვე მოსდევს მითითება „ვითარცა აღესრულა წელიწადი ერთი, მოიწია პირველი ჴსენებაჲ ნეტარისი მართაჲსი“-ო[75]. 551 წლის 5 ივლისს გარდაცვლილი მართას პირველი ხსენება (გარდაცვალებიდან ერთი წლისთავი) 552 წლის 5 ივლისს შესრულდა, და გამოდის, რომ იმ დროისათვის ანტონი უკვე სელევკიის ეპისკოპოსი იყო, რაც მე საეჭვოდ მეჩვენება. „ჟამთა რავდენთამე“ უფრო მეტ დროს გულისხმობს. ჩემი დაკვირვებით, ქ. სელევკიის ეპისკოპოსად ანტონ ქართველის კურთხევისათვის შესაფერისი დრო უფრო გვიან დადგა. ამ მხრივ ჩემი ყურადღება ვ. გრუმელის მონოგრაფიაში არსებული ანტიოქიის პატრიარქთა სიის ერთმა დეტალმა მიიპყრო. სიაში მელიქიტი პატრიარქების რიგი თუ უწყვეტია, დაახლ. 561 წელს გარდაცვლილი (?) იაკობიტი პატრიარქის სერგის შემდეგ, 564 წლამდე, იაკობიტთა საპატრიარქო კათედრა თავისუფალი ყოფილა[76]. ასეთ ვითარებაში სვიმეონ მესვეტეს სელევკიის საეპისკოპოსოს თავისუფალ კათედრაზე, მართლაც, შეეძლო მელიქიტი პატრიარქის – ანასტასიოს I-სათვის (559–570) ანტონ ქართველის[77] კანდიდატურა შეეთავაზებინა. ასეთი ქმედებით სვიმეონმა მელიქიტურ ეკლესიას კიდევ ერთი მართლმადიდებელი ეპისკოპოსი შემატა[78].

რაც შეეხება საკითხს – რომელ წლამდე რჩებოდა ანტონ ქართველი ქ. სელევკიის ეპისკოპოსად, ამ მხრივ არავითარი ცნობა არა გვაქვს, მაგრამ სავარაუდებელი ერთია, – სანამ „დიდი მნათობი“ სვიმეონ მესვეტე ცოცხალი იყო (იგი 596 წლის 23 მაისს გარდაიცვალა), ანტონი ქ. სელევკიის ეპისკოპოსად დარჩებოდა. VI ს-ის ბოლოს, ალბათ, ისიც გარდაიცვალა[79].

როგორც სვიმეონ მესვეტე, ისე ანტონ ქართველი მელიქიტთა მხარდამჭერნი იყვნენ და, ცხადია, დიოფიზიტური აღმსარებლობისა უნდა ყოფილიყვნენ ის სასულიერო მოღვაწეები, რომლებმაც 534 წელს ქ. ედესიდან ქართლში წამოსვლისას სვიმეონისაგან ლოცვა მიიღეს. საეჭვო არ ჩანს, 533 წელს იმპერატორ იუსტინიანე I-ის მიერ მოწვეული წარუმატებელი საეკლესიო კრების შემდეგ მონოფიზიტები ქ. ედესაშიც გააქტიურებდნენ ანტიდიოფიზიტურ საქმიანობას. 533 წლის 28 აგვისტოს ედესის საეპისკოპოსო კათედრაზე ადდაი აკურთხეს[80] (იგი 543 წელს გარდაიცვალა. საეპისკოპოსო კათედრა იაკობ ბარადეიამ დაიკავა). სავარაუდოდ, ადდაი ქალკედონიტი მოღვაწე უნდა ყოფილიყო. სწორედ მის ეპისკოპოსობისას დატოვეს ქ. ედესა ასურელმა მამებმა და ქართლისაკენ გამოემართნენ.

ასურელ მამათა ქართლში წამოსვლის მიზეზები ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში სხვადასხვაგვარად იყო განმარტებული[81]. 2002 წელს გამოცემულ მონოგრაფიაში – „ასურელ მამათა

---

[75] ცხორებაჲ და მოქალაქეობაჲ ნეტარისი მართაჲსი..., გვ. 72.

[76] Grumel V., დასახ. ნაშრომი, გვ. 448.

[77] მართას „ცხოვრების“ ავტორის თანახმად, ამბა ანტონი იყო „კაცი ღირსი და მონაჲ სარწმუნოჲ უფლისა თჳსისაჲ“. ცხორება და მოქალაქეობა ნეტარისი მართაჲსი, გვ. 67.

[78] როგორც ი. კულაკოვსკი წერს, იაკობიტთა და მელიქიტთა დაპირისპირებისას იყო მრავალი ადამიანი და თემებიც კი, რომელთაც ქალკედონურ მრწამსში ეჭვი შეჰქონდათ, მაგრამ არც იაკობიტებს ემხრობოდნენ. მათ „მერყევები“ (ბერძნ. διακρινόμενοι, ლათ. haesitantes – колеблющиеся) ერქვათ. იხ. მისი, დასახ. ნაშრომი, გვ. 259.

[79] ვ. ჩაჩანიძე ანტონ ქართველის გარდაცვალების თარიღად 596 წელს უთითებს (იხ. მისი, დასახ. ნაშრომი, გვ. 37), მაგრამ ასეთი დათარიღებისას რას ეყრდნობა, არ წერს.

[80] Пигулевская Н. В., Эдесская Хроника, გვ. 82, 84, 95.

[81] აკად. შ. ნუცუბიძის მტკიცებით, ასურელი მამები სირიის ქართული ნეოპლატონიკური სკოლის წარმომადგენლები იყვნენ. ბიზანტიის ტერიტორია მათ ანტიკური ფილოსოფიის დევნის გამო დატოვეს (იხ.

სამშობლო და საქართველო“, ისინი წარმოშობით ქართველებად[82], დიოფიზიტური მრწამსის [იმპერატორ ზენონის „ჰენოტიკონის“ (ერთობის ფორმულა) მოთხოვნათა გათვალისწინებით] მოღვაწეებად მივიჩნიე, წამოსვლის მიზეზად კი, როგორც მათ „ცხოვრებებშია“ ნათქვამი, „ასკეტური ყოფისადმი სწრაფვა, საქართველოში ახალნერგი ქრისტიანობის განმტკიცება“ მივუთითე. ამჯერად უნდა აღვნიშნო: ედესიდან მათი წამოსვლა, როგორც ჩანს, ანტიოქიის საპატრიარქოში არსებულმა არასტაბილურმა რელიგიურმა ვითარებამაც განაპირობა. ქართლის სამეფოში მათ მოღვაწეობას მონოფიზიტები ვეღარ შეაფერხებდნენ.

ასურელმა მამებმა თავიანთი მოღვაწეობით დიდი კვალი დააჩნიეს ქართული ეკლესიის ისტორიას. საქართველოში საფუძველი დაუდეს მონაზვნურ ცხოვრებას. მათ მიერ დაარსებული სავანეები ქართული მწიგნობრობისა და განათლების ცენტრებად იქცნენ. საქართველოს სამოციქულო ეკლესიამ ისინი წმინდანებად შერაცხა. ასურელ მამათა მოღვაწეობა საქართველოში ქრისტიანულ აღმოსავლეთთან – სირიასთან ტრადიციული კულტურულ-რელიგიური ურთიერთობის გამოხატულებადაა მიჩნეული (ბ. ლომინაძე, ასურელი მამები. ქსე, ტ. I). რაც შეეხება საკვირველ მთას – მას შემდეგ, რაც ანტონ ქართველი 561 წელს სირიის ქ. სელევკიის ეპისკოპოსად აკურთხეს, 596 წელს კი სვიმეონ მესვეტე გარდაიცვალა, საკვირველი მთა ისევ ქართველთა თავშეყრის ერთ-ერთ მძლავრ კერად რჩებოდა. XI ს-ის 30-იანი წლებიდან კი სამხრეთ საქართველოდან (განსაკუთრებით შატბერდის, ოშკისა და ხახულის სავანეებიდან) საკვირველ მთაზე იმდენად მრავალი ქართველი ჩავიდა, რომ მათ იქ რვა (პ. პეეტერსის გაანგარიშებით), თუ 12 (მ. თარხნიშვილის ცნობით) მონასტერი შექმნეს[83]. მათგან სვიმეონწმიდის მონასტერი გამოირჩეოდა, სადაც ერთხანს XI საუკუნის გამოჩენილი ქართველი სასულიერო მოღვაწე გიორგი მთაწმიდელიც იმყოფებოდა[84].

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, კვლევის შედეგები ასე წარმომიდგება:

I. სვიმეონ მესვეტის გარდაცვალებიდან 500 წლის შემდეგაც „სჯმეონ საკვირველთმოქმედის წმიდა ლავრისადმი“ ქართველთა ასეთი დაინტერესება; პ. იოსელიანისა და ცნობილი ბელგიელი ქართველოლოგის პაულ პეეტერსის მოსაზრება სვიმეონის დედის – მართას „ცხოვრება“ რომ ქართველის მიერ უნდა იყოს დაწერილი[85]; ქართველ მეცნიერთა (დ. ბაქრაძე, კ. კეკელიძე, შ.

მისი, ქართული ფილოსოფიის ისტორია, I, თბ., 1956, გვ. 134). აკად. კ. კეკელიძე კი ასურელ მამათა წამოსვლის მიზეზად ბიზანტიის იმპერიაში დაწყებულ მონოფიზიტთა დევნას მიიჩნევდა. თითქოს, გულდაჯერებულ მონოფიზიტებს სირიაში აღარ ედგომებოდათ და მათ „ცხოვრებებში“ ისინი რომ დიოფიზიტებად არიან დასახელებულნი, ეს მომდევნო ხანის ავტორთა თუ რედაქტორთა ნახელავია. იხ. მისი, საკითხი სირიელ მოღვაწეთა..., გვ. 25–34; შდრ., ასურელი მამები. წიგნში – ქართული მწერლობა, წ. I, თბ., 1984, გვ. 31.

[82] მეუფე ანანიამ ჩემი მოსაზრება ასურელ მამათა ჩრდილო შუამდინარული (კარდუხების) ქართული სამყაროსადმი კუთვნილების შესახებ იმ მოტივით უარყო, თითქოს ასურელ მამებს ქართლში შემოსვლისას „სულიწმიდის მიერ მიეცათ ქართული ენის ცოდნა“ (იხ. მისი, ქართულ-ასურული საეკლესიო ურთიერთობები. წიგნში – ასურელი მამები აღმოსავლურ და დასავლურ საეკლესიო ტრადიციებში, თბ., 2009, გვ. 46–49). ასურელ მამათა ქართველური წარმოშობის უარყოფის შემთხვევაში, ასევე უარყოფილი უნდა იქნას ის უამრავი დეტალი, რომელიც ასურელ მამათა ქართველური წარმომავლობის საჩვენებლად ჩემს მონოგრაფიაშია მოყვანილი.

[83] მენაბდე ლ., დასახ. ნაშრომი, გვ. 152.

[84] იქვე, გვ. 155–157.

[85] კეკელიძე კ., ქართული ლიტ. ისტორია, I, გვ. 181, შენ. 2; მენაბდე ლ., დასახ. ნაშრომი, გვ. 358, შენ 12; პროფ. ლ. მენაბდეს სიტყვით, „სვიმეონწმიდის მონასტრის გავლენას ქართველთა საზოგადოებრივ ცხოვრებაზე გვამცნობს დავით აღმაშენებლის „ანდერძი“. გარდა იმისა, რომ სვიმეონ საკვირველთმოქმედის მონასტრიდან

ნუცუბიძე, ვ. გოილაძე და სხვანი) მიერ ასურელ მამათა წარმოშობით ქართველებად მიჩნევა; ამ მამათა სურვილი – ქ. ედესიდან ქართლში გამომგზავრების წინ ჯერ კიდევ „უწლოვანი ბერისაგან“ – სვიმეონისაგან მიეღოთ ლოცვა; ამბა ანტონის სიახლოვე სვიმეონ მესვეტესთან; „ქართველთა მასობრივი მიმოსვლა სვიმეონთან[86]; ქართველთა მხრიდან წმიდა მართას ოჯახის დიდი პატივისცემა – ჩემი აზრით, მართას ოჯახის ქართველური წარმომავლობის სასარგებლოდ მეტყველებს.

II. ასურელი მამები რომ ქართველთა ერთ-ერთ წინაპრად მიჩნეულ კარდუხთა შთამომავლები უნდა ყოფილიყვნენ, მართალია, ეს ჯერ კიდევ საბოლოოდ დადასტურებული არაა, მაგრამ, ის ფაქტი: საკვირველი მთის „აღმოსავლით“ რომ იყო ქართველთა „ერი მრავალი“; ქ. ედესიდან გამომგზავრების წინ მამა ანტონმა რომ „იძია მოძღურისა თვისისა გზა“, ვფიქრობ, მათი ჩრდილო შუამდინარეთის ქართული სამყაროსადმი კუთვნილების სასარგებლოდ მიუთითებს. ანტონი ქ. ედესაში რომ საქართველოდან ყოფილიყო ჩასული, რა თქმა უნდა, ქართლისაკენ წამოსასვლელ გზას არ იკითხავდა.

III. 534 წელს ქ. ედესიდან იოანესა და მის მოწაფეთა ქართლში წამოსვლის შემდეგ, იოანეს მოწაფეთა ნაწილი, მ. შ. ანტონი, რადგან ქ. ედესაში რჩებოდა, ცხადია, ქართული კულტურის კერა იქ არსებობას განაგრძობდა, მაგრამ 532 წლის შემდეგ ახლო ხანაში ჩრდილო შუამდინარეთში ჩასული ანტონ-ქართველი, გამოცხადების მოთხოვნისამებრ, ქ. ედესაში დარჩენილ იოანეს მონასტრის ძმობას კი არა, ტიბერიანის მონასტერში მყოფ სვიმეონს მიაკითხავდა. სავარაუდოდ, იქ, ჩრდილო შუამდინარეთში – ასურულ-სირიულ სამყაროში გახდა იგი სასულიერო მოღვაწე (მიიღო ტიტული „ამბა“), შემდეგ კი იერუსალიმის მახლობლად მდებარე ქართველთა მონასტრის წინამძღვრად აირჩიეს. „ამბას“ ტიტულს ატარებდა იგი ტაძრის წინამძღვრობისას, ამავე ტიტულით იხსენიება მართას „ცხოვრებაში“.

IV. მართას და სვიმეონის „ცხოვრებები“ ბერძნულიდანაა ნათარგმნი X ს-ში[87], მაგრამ VI საუკუნეში, როცა სვიმეონ მესვეტე და ანტონ ქართველი მოღვაწეობდნენ, ანტიოქიისა და იერუსალიმის საპატრიარქოთა ტერიტორიებზე სასაუბრო ენა რადგან სირიული იყო, ამ ენაზე უნდა ყოფილიყო დაწერილი სვიმეონის ეპისტოლე, შესაბამისად, მართასა და სვიმეონის „ცხოვრებების“ თავდაპირველი რედაქციებიც ამ ენაზე უნდა შექმნილიყო. უფრო გვიან, როცა მათი „ცხოვრებები“ ბერძნულ ენაზე იწერებოდა, როგორც ბერძნულ ისე ქართულ საისტორიო ტრადიციას, როგორც ჩანს, დავიწყებული ჰქონდა ქ. ედესა (ურჰა) ელინისტურ ხანაში ანტიოქიად რომ იწოდებოდა. რამაც გაურკვევლობა შეიტანა როგორც მართას, ისე სვიმეონის „ცხოვრებების“ ავტორთა თხრობაში – კერძოდ, ამ წმინდანთა თავდაპირველი მოღვაწეობის ადგილის მითითებაში.

ზემომითითებულმა განაპირობა მართასი და სვიმეონის „ცხოვრებების“ ავტორებმა ამ წმინდანთა თავდაპირველი მოღვაწეობის ადგილზე თხრობა სირიის ანტიოქიის (მდ. ორონტზე) რომ დაუკავშირეს. სვიმეონის „ცხოვრების“ ავტორმა ზუსტად ვერ მიუთითა, სად მდებარეობდა ტიბერიანის მონასტერი, 540 წლის წინა ხანაში სვიმეონი მონასტერში იყო თუ სვეტზე იდგა (პროფ. ლ. მენაბდის დაკვირვებით, სვიმეონმა „ცხოვრების ერთი ნაწილი მონასტერში გაატარა“), ასევე, 541–550 წლებში სვიმეონი სვეტზე იდგა, თორნეში იჯდა თუ „ქვითა ჴმელთა“ აგებულ სვეტზე.

გაურკვევლობამ თავი იჩინა ჩვენს დროშიც, როცა აკად. კ. კეკელიძე იოანე ზედაზნელსა და სხვა ასურელ მამებს მდ. ორონტზე მდებარე ანტიოქიიდან (ე. ი. სირიიდან) მოსულებად თვლიდა,

---

შემოსულა ჩვენში ახალი რედაქცია ტიპიკონისა, დავით აღმაშენებელს „ხოდაბუნი შეუწირავს მუხრანს წმიდის სჯმეონ საკჯველმოქმედისადა“ (იხ. მისი, დასახ. ნაშრომი, გვ. 157).

[86] კეკელიძე კ., ქართული ლიტ. ისტორია, I, გვ. 88.

[87] მენაბდე ლ., დასახ. ნაშრომი, გვ. 150–151. სვიმეონის „ცხოვრების“ ავტორია კვიპროსის მთავარეპისკოპოსი არკადი (630–638).

ხოლო იოანეს ერთ-ერთი მოწაფის – ანტონის თავდაპირველი მოღვაწეობის ადგილად „ედესია ქალაქი“ (ე. ი. ჩრდილო შუმადინარეთი) მიაჩნდა.

მას შემდეგ, რაც გაირკვა, ვახტანგ გორგასლის „ცხოვრებაში“ იმ დროის ცოდნაა შემონახული, როცა შუამდინარეთის ქალაქები (ნისიბისი, ედესა) ანტიოქიად იწოდებოდა, ნათელი გახდა, ასურელ მამათა თავდაპირველი მოღვაწეობის ადგილი ჩრდილო შუამდინარეთი (როგორც ეს მათ „ცხოვრებებშია“ ნათქვამი) – კერძოდ, მისი მთავარი ქალაქი – ედესა ან მის მახლობლად მდებარე მონასტერი იყო.

V. იმპერატორ იუსტინიანე I-ის ეპოქაში (VI ს.) ბიზანტიის საიმპერატორო კარზე და მაღალ ფენებში სასაუბრო ენა თუ ჯერ კიდევ ლათინური იყო (იმ ხანად ბერძნულ ენაზე ამბობდნენ, რომ იგი „არ იკითხებოდა“), სირია-პალესტინაში ძირითადად სირიულ ენაზე, ხოლო ჩრდილო შუამდინარეთში არამეულ ენაზე საუბრობდნენ. ამ ენაზე საუბრობდა, როგორც ჩანს, სვიმეონ მესვეტეც. აღნიშნულით უნდა აიხსნას, მის მიერ იერუსალიმის აღდგომის ეკლესიის წინამძღვრისათვის მიწერილ წერილში „მოსეს სიტყვათაგან ერთი ადგილი“ არამეულ ენაზე რომ იყო ჩართული[88]. ეს ჩანართი სირიული ენის მცოდნე თომა წინამძღვრისათვის „ძნელად სათარგმნელი“ გამოდგა. როგორც ანტონ ქართველს, ისე პეტრე იბერსა (რომელმაც იერუსალიმში ჩასვლისთანავე „ისწავა მუნ ენაჲ და სწავლაჲ ასურებრივი“) და იმ უამრავ ქართველს, რომელთა შესახებ მართასი და სიმეონის „ცხოვრებებში“ მოგვითხრობენ, სირიული ენა უნდა სცოდნოდათ.

VI. ანტიოქიისა და იერუსალიმის საპატრიარქოებში მონოფიზიტებსა და დიოფიზიტებს შორის არსებული დაპირისპირება უნდა იყოს ასახული მართას „ცხოვრების“ იმ ცნობაში, რომლის თანახმად, სვიმეონ მესვეტე შვიდი თვე ელოდა, სანამ იერუსალიმის აღდგომის ეკლესიიდან მას ანტონ ქართველი ცხოველმყოფელი ძელის ნაწილისაგან დამზადებულ ჯვარს ჩაუტანდა. ასევე, მიუხედავად იმისა, რომ სვიმეონი განდეგილი (მესვეტე) იყო, იგი როგორც ჩანს, თვალს ადევნებდა ანტიოქიის საპატრიარქოში იაკობიტებსა და მელიქიტებს შორის არსებულ დაპირისპირებას. სვიმეონმა ისარგებლა იაკობიტური საპატრიარქოს დაქვრივებით და 561 წელს მასთან, საკვირველ მთაზე მყოფი ანტონ ქართველი სელევკიის ეპისკოპოსად აკურთხა, რითაც თავისი წვლილი შეიტანა მელიქიტური (დიოფიზიტური) საპატრიარქოს გაძლიერებაში.

სვიმეონის ასეთი ქმედება მხოლოდ რეკომენდაცია იყო იმდროინდელი მელიქიტი პატრიარქისათვის და ანასტასიოს ანტიოქიელმაც (559–570), დიდი წმინდანის შეთავაზება შეიწყნარა. ამის შემდეგ სვიმეონ მესვეტისა და ანტონ სელევკიელის ურთიერთობის შესახებ არაფერი ვიცით, მაგრამ მათ შორის მეგობრობა და ურთიერთპატივისცემა არ უნდა შენელებულიყო.

VII. ჩემი ვარაუდით, სწორედ სვიმეონ მესვეტისა და ანტონ სელევკიელის კარგი ურთიერთობის ანარეკლია ჰაგიოგრაფის ის სიტყვები, რომლის თანახმად, „მონასტრისა პატიოსნისაჲ მამასახლისი და წინამძღუარი ძმათა სიმრავლისაჲ“ ამბა ანტონი რომ იყო „კაცი საკჳრელი“, „მღდელობისა პატივითა შემოსილი“, „კაცი ღირსი და მონაჲ სარწმუნოჲ უფლისა თჳსისაჲ“.

VIII. ზემოთ როცა პეტრე იბერის მიერ იერუსალიმში აგებულ იმ მონასტერზე დავიწყე საუბარი, რომლის წინამძღვარი ამბა ანტონი იყო, შევნიშნე (იხ. შენ. 4): ეს მონასტერი ის სავანე რომ უნდა ყოფილიყო, რომელსაც VI ს-ის ბიზანტიელი ავტორი პროკოპიოს კესარიელი „ლაზთა მონასტრად“ იხსენიებს (პროკოპიოსის ცნობით, იუსტინიანე I-მა (527–565) იერუსალიმში განაახლა „იბერთა მონასტერი“, ხოლო „იერუსალიმის უდაბნოში ლაზთა მონასტერი“[89]). მართლაც, როგორც

---

[88] სვიმეონ მესვეტეს ეპისტოლეში („მართას ცხოვრება“, გვ. 65) არის ჩანართი სახარებიდან (მათე VII, 7), რაც შეეხება „მოსეს სიტყვათაგან იგავებს“ („მართას ცხოვრება“, გვ. 70), აქ უნდა იგულისხმებოდეს ტექსტი: „კადნიერ ვიქმენ მე მსგავსად მოსესა თქუმად: „უკუეთუ ვპოვე მადლი წინაშე შენსა...“ (იქვე, გვ. 66), შდრ. გამოსვლათა (33, 13).

[89] პროკოპი კესარიელი. De aedificiis. გეორგიკა, ტ. II, თბ., 1965, გვ. 223.

აკად. ს. ყაუხჩიშვილი წერს, პეტრე იბერის „ცხოვრებაში“ ნათქვამია, რომ მან და იოანე ლაზმა როცა ააშენეს ეკლესია, „კუალადა მოიქცეს იერუსალიმადვე და კუალად აღაშენეს ქალაქსა შინა სახლი სასტუმროჲ და იწყეს შენებად ეკლესიისა“[90]. ს. ყაუხჩიშვილის ვარაუდით, გამორიცხული არაა პეტრეს და იოანე ლაზის მიერ აშენებულ ეკლესიას შერქმეოდა „ლაზთა მონასტერი“. მისი დასკვნით: იბერთა მონასტერი ყოფილა შიგ იერუსალიმში, ხოლო იერუსალიმის უდაბნოში – ლაზთა მონასტერი. პროკოპი კესარიელმა ძალიან კარგად იცოდა, ვინ არიან ლაზები და ის მონასტერი რომ რამენაირად ლაზების სახელთან არ ყოფილიყო დაკავშირებული, პროკოპი მას „ლაზთა მონასტერს“ არ უწოდებდა. მონასტრის სახელი პეტრე იბერის მოძღვრისა და თანამოღვაწის, მისი შრომების თანაავტორის იოანე ლაზის პიროვნებას უნდა უკავშირდებოდეს[91]. აი, ამ მონასტრის მოზაიკურ წარწერებში პეტრე იბერი თავისი წინაპრების, ხოლო ამბა ანტონი თავისი ღვაწლის შესახებ გვამცნობს.

IX. ბირ-ელ-ყუტის უდაბნოში არსებული ქართველთა მონასტერი რომ მნიშვნელოვანი ქრისტიანული ძეგლი იყო, ეს იქიდანაც ჩანს, რომ იგი ცნობილ მწერალს, მკვლევართა მიერ წარმოშობით ქართველად მიჩნეულ იოანე მოსხს (გარდ. დაახლ. 634 წ.) მოუნახულებია.

იერუსალიმის ქართველთა მონასტრები VI საუკუნის 30-იანი წლებისათვის უკვე დაზიანებული (ალბათ მიწისძვრისაგან) ყოფილა და ისინი იმპერატორმა იუსტინიანე I-მა აღადგინა. აღდგენითი სამუშაოები 551 წლის წინა ხანაში – ამბა ანტონის მამასახლისობისას მიმდინარეობდა. აღდგენილი მონასტრები VII ს-ის დამდეგს ჯერ ირანის შაჰის ხოსრო II-ის მიერ იერუსალიმის აღებისას გაიძარცვენ და დაზიანდნენ[92], შემდეგ პალესტინაში არაბთა ბატონობისას. ამის შემდეგ ლაზთა მონასტერი რა მდგომარეობაში იყო, არ ვიცით. 1952 წელს, ვირჯილიო კორბოს მიერ ამ მონასტრის ნანგრევებისა და წარწერების მიკვლევის შემდეგ, ქართული კულტურის მნიშვნელოვანი ძეგლის ადგილსამყოფელისა და უძველესი ქართული წარწერების შესახებ შევიტყვეთ.

X. ქ. ამასია (პონტოში) ის ქალაქი იყო, სადაც VI ს-ში ჯერ კიდევ მრავლად ცხოვრობდნენ ქართველები, ამიტომ ნიშანდობლივ გარემოებად მეჩვენება პეტრე იბერისა და იოანე ლაზის მიერ იერუსალიმის უდაბნოში დაარსებული მონასტერი წარმოშობით ამასიელი წმინდანის თეოდორე ტირონის სახელობისა რომ იყო.

P. S. გამოკვლევა, რომლის მიზანი იყო VI ს-ის ასურულ (სირიული) – ქართული სამყარო წმიდა სიმეონ მესვეტისა და ანტონ ქართველის ურთიერთობათა ფონზე წარმომედგინა, საკმაოდ ვრცელი გამოვიდა. იგი უფრო სრულყოფილი იქნებოდა, ჩრდილო შუამდინარეთის იმ ცენტრების არქეოლოგიურ მასალასაც რომ ეყრდნობოდეს, სადაც ქართველთა ცხოვრების ან მოღვაწეობის კვალია საძიებელი. აღნიშნულის მიუხედავად, ჩემი სურვილი – ქართველი მკითხველისათვის უფრო დეტალურად გამეცნო საზღვარგარეთ მოღვაწე ანტონ ქართველი და „მთასა საკვირველსა დამკვიდრებული წმიდა და ნეტარი მამაჲ ჩუენი“ სვიმეონი, რომელიც თავისი მოღვაწეობით კარგა ხნის მანძილზე მისაბაძი იყო ახლო აღმოსავლეთის ქრისტიანთათვის (ლ. მენაბდე), შევასრულე. სვიმეონ მესვეტე ისევე ბრწყინავდა მასთან აღმოსავლეთიდან მისული მრავალი ქართველისათვის, როგორც საქართველოდან წმიდა ადგილებში ჩასული პილიგრიმებისათვის, რის გამოც მესვეტეობამ

---

[90] ყაუხჩიშვილი ს., ქართლის ცხოვრების ცნობა ბეთლემის შესახებ. ქართლის ცხოვრება, ტ. II, თბ., 1959, გვ. 062.

[91] იქვე. „ცხოვრების“ ცნობა პეტრე იბერის მიერ მონასტრისათვის საზეთესი და საღვინეს აგების შესახებ, – წერს აკად. გ. წერეთელი, – ვ. კორბოს მიერ იორდანეს უდაბნოში მიკვლეულმა მასალამ დაადასტურა. იხ. მისი დასახ. ნაშრომი, გვ. 26–27. ამ მონასტრის აგების შესახებ აკად. კ. კეკელიძის აზრი ზემოთ წარმოვადგინე (იხ. შენ. 52).

[92] Кулаковский Ю., დასახ. ნაშრომი, გვ. 38.

ჩვენშიც იჩინა თავი. კარგადაა ცნობილი მოწესეთა საცხოვრებელი სვეტები: ოლთისში, შავშეთში, იმერეთში, სამეგრელოში[93].

[93] მენაბდე ლ., დასახ. ნაშრომი, გვ. 151.